დევნილებმა სახელმწიფო მინისტრს აფხაზეთში დაბრუნება მოსთხოვეს A2 | ფესტივალის ფოლკ-რაუნდი A5 | TV-პროგრამა A6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — კვირა, 29 ივნისი, 2003 წელი. №176 (388) — ფასი 50 თეთრი

**ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით, პირველი ივლისიდან "24 საათი" 8-გვერდიანი იქნება და გაზეთი 30 თეთრი ეღირება.**

## სამართალი

### ჯონი გიგანის მანქანის აფეთქებაში ბრალდებული გათავისუფლდა

სავაჭრო კომპლექს „მორკინალის“ ერთ-ერთი მეპატრონის ჯონი გიგანის ავტომანქანის აფეთქებაში ბრალდებული ორი პატიმრიდან ერთს, გოჩა ყურაშვილს პატიმრობა პოლიციის ზედამხედველობად შეეცვალა.

A2

## ეკონომიკა

### ფინანსთა სამინისტროში კორუფციას სერტიფიცირებული ინსპექტორები შეებრძოლებიან

საგადასახადო სისტემაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ, ტრადიციულად განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე განყოფილებად შერაცხული გენერალური ინსპექციის 36 თანამშრომელს, გუშინ ამერიკული ტრეინინგის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები, აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის მრჩეველმა დუგლას სკოტმა გადასცა.

A3

## უცხოეთი

### კონდოლიზა რაისი - მშვიდობის მისიონერი

გუშინ, ახლო აღმოსავლეთში ეროვნული უშიშროების საკითხებში აშშ-ს პრეზიდენტის მრჩევლის და თანაშემწის კონდოლიზა რაისის ტურნე დაიწყო.

A3

## საზოგადოება

### ტაძარს ქართული იერი დაუბრუნდება

წმიდა ნინოს სახელობის სამონასტრო კომპლექსი და საეპისკოპოსო ცენტრი კახეთში, ქართველი განმანათლებლის, წმიდა ნინოს საფლავთანაა აგებული. იგი მრავალჯერ იქნა შეკეთებული და რესტავრირებული. ამჟამად ბოდბეში სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს. სავარაუდოდ, ოქტომბრისთვის ტაძარს ისევ ძველებური, ქართული იერი დაუბრუნდება.

A4

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 28 |
| ქუთაისი | 29 |
| ბათუმი | 27 |
| სოხუმი | 28 |
| თელავი | 30 |
| გორი | 28 |
| სამტრედია | 30 |
| ბოლნისი | 29 |
| ლაგოდეხი | 31 |
| ონი | 26 |
| საგარეჯო | 28 |
| თიანეთი | 22 |
| ტყიბული | 25 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1475 |
| ევრო | 2.5134 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5129 |
| რუბლი | 0.0697 |

# კონსულტაციების სერია გრძელდება

გუშინ ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლები პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ვარიანტზე ბჭობდნენ. მას მერე, რაც საქართველოს პრეზიდენტმა მათთან შეხვედრის და სწორედ ამ თემაზე საუბრის სურვილი გამოთქვა, ოპოზიციონერების წინაშე ცესკოს დაკომპლექტებისადმი ერთიანი მიდგომის შემუშავების ამოცანა დადგა.

იმის მიუხედავად, რომ თითქმის ყველა ოპოზიციური ფრაქცია ერთხმად აღიარებს, რომ კომისია პარიტეტული საწყისებით უნდა დაკომპლექტდეს, საერთო ვარიანტი კვლავაც შეუმუშავებელია. არადა, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფრაქციებს ამ თემაზე მუშაობა რამდენიმე დღის წინ უნდა დაესრულებინათ. ამავე ინფორმაციის თანახმად, აუდიენცია პრეზიდენტთან გუშინ უნდა შემდგარიყო.

ეს შეხვედრა, სავარაუდოდ, ორშაბათს გაიმართება. დღეს კი ოპოზიციონერები ერთმანეთს კვლავ შეხვდებიან და როგორც ისინი იმედოვნებენ, საბოლოო კონსესუსამდე მივლენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# რობერტ კოჩარიანის არგუმენტები და ხელისუფლების პოზიცია

**ბურჯანაძის თქმით, აფხაზეთში სარკინიგზო მაგისტრალის გახსნის საკითხისადმი ხელისუფლებას და ოპოზიციას ერთნაირი დამოკიდებულება აქვს**

თამარ ხორბალაძე

*გუშინ დასრულდა სომხეთის პრეზიდენტის რობერტ კოჩარიანის ორდღიანი ვიზიტი საქართველოში. ვიზიტის მეორე დღე საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა – პრეზიდენტი შეხვდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრს, სომხური დიასპორის წარმომადგენლებს და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს.*

ჟურნალისტთა განსაკუთრებული ინტერესი, ცხადია, სომხურ დიასპორასთან შეხვედრამ გამოიწვია, თუმცა საქართველოში მცხოვრები სომხების დელეგაციის თხოვნით ეს შეხვედრაც დახურულ კარებს მიღმა ჩატარდა.

როგორც სომხეთის პრეზიდენტმა ჟურნალისტებს განუცხადა, საუბარი საგანმანათლებო და კულტურული მემკვიდრეობის იმ თემებს შეეხო, რომელიც დიასპორამ წამოჭრა: კერძოდ, სომხურ ენაზე სახელმძღვანელოების მოწოდებას საქართველოში მცხოვრები სომხებისათვის და სომხური თეატრის აღდგენის საკითხებს.

**„პრეტენზიები და სოციალური საკითხები დიასპორას არ დაუყენებია, საუბარი შეეხო იმას, თუ რით შეიძლება ჩვენ დავეხმაროთ მათ“** - განაცხადა რობერტ კოჩარიანმა.

გაგრძელება A2 გვერდზე



ბურჯანაძეს და კოჩარიანს თავიანთი არგუმენტები აქვთ.

ინტერპრესი

# საქართველო "საქართველოს შვიდკაცას" ნახევარფინალშია

A7




აზერბაიჯანელებმა საქართველოს შვიდ კაცთან ვერაფერი გააწყეს.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

# ყველაზე სარფიანი თაღლითობა მოსახლეობის ხარჯზე

თამარ კევლიშვილი

დასაწყისი №175

### ფულის დაბრუნების მექანიზმი

პარლამენტარი კობა დავითაშვილი დარწმუნებულია, რომ **„უნდა ჩატარდეს ობიექტური გამოძიება, გამოვლინდნენ მიმთვისებლები და მათგან ამოღებული იქნას ეს ფული სისხლის სამართლებრივი გზით. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს არარეალურია, ძალიან ცდება. ფულის გათეთრების წინააღმდეგ არსებული საერთაშორისო კონვენციის თანახმად, ყველა ქვეყანა - მათ შორის შვეიცარიაც - ვალდებულია გადასცეს მეორე ქვეყანას მონაცემები ასეთი თანხების შესახებ და სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში დაუბრუნოს ეს თანხები კანონიერ მფლობელს ანუ გაძარცვულ მეანაბრეებს.“** როდესაც მიხეილ სააკაშვილი იყო იუსტიციის მინისტრი, ის შეხვდა შვეიცარიელ კოლეგას, სწორედ ამ მიზნით. მან განუცხადა, რომ შვეიცარია აღარ არის დახურული ზონა და ის ემორჩილება საერთაშორისო სამართლისა და ამ კონვენციის მოთხოვნებს: **„საკმარისია გენერალური პროკურორის ერთი წერილი და ეს ანგარიშები გახსნილი იქნება.“**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ავჭალის კოლონიიდან მხედრიონელი პატიმრები გაიქცნენ

ინგა ალავიძე

*ციხეში ტრადიციად ქცეული შაბათის „ღია კარის“ დღე კვლავ გრძელდება. გუშინ თბილისის ძირითადი ავტომაგისტრალები პოლიციელთა ჯგუფებმა კვლავ გადაკეტეს. გამკაცრებული რეიდის მიზეზი ავჭალის კოლონიიდან გუშინ გვიან ღამით გაქცეული პატიმრების ძებნა გახდა.*

ბოლო თვენახევრის მანძილზე საპატიმროდან რამდენიმე ხმაურიანი გაქცევა მოხდა. ამ პერიოდში თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან 34 ტუსაღი გაიქცა და ყველა სერიოზული კრიმინალი - რეციდივისტია. სამართალდამცველებმა ჯერჯერობით ვერც ერთი გაქცეულის დაკავება და უკან, საპყრობილეში დაბრუნება ვერ მოახერხეს.

მასიური გაქცევები ციხიდან 19 მაისს დაიწყო, როცა პატიმარი გაბრიელ ალოევი ორთაჭალის თვალის კლინიკიდან გაეპარა ბადრაგებს. ერთი კვირის შემდეგ ორთაჭალის მე-5 საპყრობილედან პატიმრები პაატა დოლაბერიძე და ზაქარია უტიაშვილი გაიქცნენ. მომდევნო შაბათს ორთაჭალის ციხე თექვსმეტმა საშიშმა დამნაშავემ "დატოვა". მომდევნო გაქცევა კვლავ ერთ კვირაში განხორციელდა - რუსთავის მკაცრი რეჟიმის №2 კოლონიიდან შვიდი ტუსაღი, ხოლო გუშინ, ორკვირიანი "შესვენების" შემდეგ, გვიან ღამით ავჭალის N6 მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან რვა პატიმარი გაიქცა.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის გიგლა აგულაშვილის ინფორმაციით, კოლონიის გუშაგმა ზაურ გაბოძემ ანგარების მოტივით მსჯავრდებულთა დავალება შეასრულა, მიატოვა კოშკურა, რათა პატიმრებისთვის ალკოჰოლური სასმელი მიეტანა. ამით მსჯავრდებულებმა ისარგებლეს, გაბოძეს თავს დაესხნენ, დაჭრეს, შემდეგ განაიარაღეს - "აკს"-ის სისტემის ავტომატი წაართვეს და გაიქცნენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ახალგაზრდა "დემოკრატებმა" დაბადების დღე აღნიშნეს

ბელა მახარაძე

*"გაერთიანებული დემოკრატების"ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ შექმნიდან ერთი წლისთავი საკმაოდ მხიარულად აღნიშნა. გუშინ თბილისში მათი შემოვლა ვარკეთილის რაიონის 180-ე საშუალო სკოლიდან დაიწყო.*

არასამთავრობო ორგანიზაცია „ბავშვთა ჰარმონიული განვითარების სახლმა“ ამ სკოლაში განახორციელა ახალი პროექტი - „ადაპტაციური სამუშაოების ჩატარება უნარშეზღუდული ბავშვებისათვის“. სკოლის დირექცია და მშობლები ერთობლივი მუშაობით არასამთავრობო ორგანიზაციასთან და „გაერთიანებული დემოკრატების“ ლობირებით ცდილობენ მწირი დაფინანსების პირობებში განახორციელონ პროგრამა, რომლის საშუალებით ათი უნარშეზღუდული ბავშვი თავის თანატოლებთან ერთად სკოლაში სიარულს და სრულფასოვანი განათლების მიღებას შეძლებს. **"მე მანამდე არასოდეს შევხვედრივარ ზურაბ ჟვანიას, იმედი მაქვს დაგვეხმარება",-** განაცხადა სკოლის დირექტორმა დავით ახალაიამ.

სკოლის დათვალიერების შემდეგ, რომელსაც ზურაბ ჟვანია ესწრებოდა, დაბადების დღის აღნიშვნა „ახალგაზრდა დემოკრატებმა“ ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტულ მოედანზე გააგრძელეს, სადაც ახალგაზრდებმა და უფროსებმა ფეხბურთი ითამაშეს. დიდების გუნდში იყვნენ ვასილ მაღლაფერიძე, გია ბარამიძე, დათო ტყეშელაშვილი, გოკა გაბაშვილი და მიშა მაჭავარიანი, თავად ზურაბ ჟვანია თამაშში მონაწილეობას საპატიო მიზეზის გამო არ ღებულობდა. მიუხედავად ასეთი ცნობილი სახეებით დაკომპლექტებული გუნდისა, ახალგაზრდებმა "მოურიდებლად" ითამაშეს უფროსების

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ინფორმაცია A2 სამართალი A3 ეკონომიკა A3 უცხოეთი A4 საზოგადოება A5 რევიუ A6 განცხადებები A7 სპორტი A8 სხვადასხვა

# კონსულტაციების სერია გრძელდება

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება გუშინდელ შეხვედრას, იგი უშედეგოდ დასრულდა. ზოგადი პრინციპების მიმოხილვის იქით საქმე არ წასულა. მოლაპარაკებები მას შემდეგ გართულდა, რაც დეპუტატები ცესკო-ს წევრთა რაოდენობისა და პარტიების ქვოტების შეეხნენ. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, განიხილებოდა ორი ვარიანტი: პირველის თანახმად, კომისია უნდა დაკომპლექტდეს იმ პარტიების წარმომადგენლებით, რომლებმაც ბოლო ორ (საპარლამენტო და ადგილობრივი) არჩევნებში ოთხპროცენტიანი ბარიერი გადალახეს. ამავე დროს, კომისიაში უნდა შევიდეს საქართველოს პრეზიდენტისა და ავტონომიური რესპუბლიკების თითო-თითო წარმომადგენელი.

მეორე ვარიანტი კი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უფრო წარმომადგენლობითს ხდის და მასში, ზემოთ ჩამოთვლილ სუბიექტებთან ერთად, იმ პარტიათა საპარლამენტო ფრაქციების წარმომადგენლებიც უნდა შევიდნენ, რომლებიც საერთო მოთხოვნებს აკმაყოფილებენ (საუბარია ბოლო არჩევნებში ოთხპროცენტიანი ბარიერის დაძლევის თაობაზე).

ოპოზიციური ფრაქციები ერთ საკითხში აბსოლუტურად ერთსულოვანნი არიან. როგორც ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" ახალი თავმჯდომარე ფიქრია ჩიხრაძე აცხადებს, ოპოზიცია ბოლომდე იბრძოლებს, რათა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის სასარგებლო პოლიტიკის გატარება ვერ შეძლოს. **"ცესკოში ბალანსი ისეთი უნდა იყოს, რომ ერთ რომელიმე ძალას ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების საშუალება არ მიეცეს,"** – ამბობს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, "გაერთიანებული დემოკრატების" გიგი წერეთელი.

ბუნებრივია, ოპოზიციონერებისთვის მთავარ საყრდენს საპრეზიდენტო ბლოკი და მათი მხარდამჭერი პოლიტიკური ძალები წარმოადგენენ, რომლებიც, თავის მხრივ, ცდილობენ, რომ დღეს მოქმედ ცესკო-ს უფლებამოსილება არ შეუწყვიტონ (თუმცა ამის თაობაზე ხმამაღლა არავინ საუბრობს). თუკი მოვლენები ისე განვითარდა, რომ დღევანდელ კომისიას საფრთხე დაემუქრა, ისინი ყველაფერს იღონებენ, რათა ახალ ცესკო-ში უპირატესობა კვლავ მათ ხელში იყოს.

საგულისხმოა, რომ დღევანდელ კონსულტაციებს არ დასწრებიან ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები, თუმცა როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დღეს ისინი ამ შეცდომას გამოასწორებენ და პარლამენტის თავმჯდომარესთან და კოლეგა ოპოზიციონერებთან შესახვედრად აუცილებლად მოიცლიან.

*24 საათი*

# ახალგაზრდა "დემოკრატებმა" დაბადების დღე აღნიშნეს

პირველი გვერდიდან



ზურაბ ჟვანია - გუნდის დამრიგებელი.

წინააღმდეგ და ამან შედეგიც გამოიღო, ახალგაზრდებმა 5:1 მოიგეს. თამაშის განმავლობაში ყველაზე მეტად მიშა მაჟავარიანი ნერვიულობდა. გამარჯვებულებმა და დამარცხებულებმა თამაშის შემდეგ ერთობლივი სურათიც გადაიღეს.

გუშინ ზურაბ ჟვანიამ თავი აარიდა რიგი პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას, თუმცა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ მისთვის მთავარი პრინციპების ერთგულებაა გარანტია: **"ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს იმედი, რომ მოლაპარაკებები და კონსულტაციები გაგრძელდება, დიდი ოპოზიციური გაერთიანება დიდ შედეგებამდე მიგვიყვანს"**, -აცხადებს ჟვანია.

საღამოს საათო ოფისის ეზოში კონცერტი გაიმართა. ამის შემდეგ მოეწყო შეჯიბრი ლუდის სმაში, რომელშიც პირველი ადგილი ჯაბა ნულაძემ მოიპოვა. შეჯიბრი "საუკეთესო სადღეგრძელო", რომელშიც ნებადართული იყო მცირე დოზით პოლიტიზირება, გაიმარჯვა პარტიის სამგორის რაიონის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ირაკლი ნადირაძემ. **"იმ კაცს გაუმარჯოს, რომელიც დიდი პენსია აიღებს და შევარდნაძის ფონდში ჩარიცხავს"**, - ასეთია გამარჯვებული სადღეგრძელო, რომელმაც მქუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურა.

## ინფორმაცია

# სამშვიდობოების სარდალი საზენიტო სარაკეტო კომპლექსს მოითხოვს

აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში განლაგებული სამშვიდობო ძალების სარდალი აფხაზეთის საჰაერო სივრცის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად რუსეთის თავდაცვის სამინისტროსგან საზენიტო სარაკეტო კომპლექსსა და რადიოდაზვერვის სისტემას მოითხოვს.

ამის შესახებ გენერალმა ალექსანდრე ევტეევმა გაზეთ "კრასნაია ზვეზდასთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

"სამშვიდობო ძალებს, რომელთაც აფხაზეთის სანაპიროს 80 კილომეტრიანი ზოლისა და კოდორის მაღალმთიანი ზონის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ევალებათ, მოვალეობის შესასრულებლად საჰაერო დაცვის სისტემის დანადგარები ესაჭიროებათ", - განაცხადა ევტეევმა.

როგორც აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში განლაგებული სამშვიდობო ძალების შტაბში განაცხადეს, საქართველოს საჰაერო სივრცეში აშშ-ის თვითმფრინავების გამოჩენის გამო სამშვიდობო ძალები თავს უსაფრთხოდ ვეღარ გრძნობენ და აუცილებელია, მათი ტექნიკა საჰაერო დაცვის სისტემის სარაკეტო დანადგარებით შეივსოს. სამშვიდობოების შტაბში აფხაზეთის საჰაერო სივრცეში შეჭრილი "აშშ-ის ჯაშუში თვითმფრინავების" ჩამოგდების შესაძლებლობას არ გამორიცხავენ.

"იმ შემთხვევაში, თუ ამერიკული თვითმფრინავები აფხაზეთის საჰაერო სივრცეში გამოჩნდებიან, მათ ჩამოგდებას არ მოვერიდებით", - აღნიშნა აფხაზეთის სამშვიდობო ძალების შტაბის მორიგე ოფიცერმა, რომელმაც თავისი ვინაობის დასახელება არ ისურვა. **ინტერ-პრესი**

## მოკლედ

**თბილისი.** "ახალი მემარჯვენეების" განცხადება მომავალ საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად კენჭისყრის შესახებ "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერ ზურაბ ჟვანიასთვის მოულოდნელი არ ყოფილა, თუმცა გულდასაწყვეტი იყო".

ამის შესახებ ჟვანიამ გუშინ "ახლების" გუშინდელ ყრილობაზე გაკეთებული განცხადებების კომენტირებისას განაცხადა.

"მიმაჩნია, რომ ოპოზიციას უთანხმოებები უნდა დაეძლია და ერთიანი ბლოკი შეექმნა, რადგან ეს საზოგადოების წინაშე აღებული ჩვენი პასუხისმგებლობის საკითხია" - განმარტა მან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბლოკი "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატიული ფრონტი" პოლიტიკურ ორგანიზაცია "ახალ მემარჯვენეებს" პოზიციების გადახედვისკენ მოუწოდებს იმასთან დაკავშირებით, რომ "ახლებმა" საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის თაობაზე განცხადება გააკეთეს.

როგორც "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტის" ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტარმა კობა დავითაშვილმა განაცხადა, "ნაცმოძრაობა" ერთ საარჩევნო ბლოკად ოპოზიციურ ძალთა ფართო სპექტრის გაერთიანების მომხრეა და არა ერთ რომელიმე პარტიასთან ალიანსის შექმნის - მაგალითად "გაერთიანებულ დემოკრატებთან". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ეუთო-ს მისიამ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს 100 ათასი ევროს ღირებულების აღჭურვილობა გადასცა.

აღჭურვილობის შესაძენად აღნიშნული თანხა გრანტის სახით ევროკავშირმა გამოყო. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ ქართველი მესაზღვრეებისთვის გუშინ გადაცემული სამხედრო აღჭურვილობა ეუთო-ს მისიის დაცვის სპეციალური კომენდატურისთვის არის განკუთვნილი. **ინტერ-პრესი**

# რობერტ კოჩარიანის არგუმენტები და ხელისუფლების პოზიცია

პირველი გვერდიდან

**"სომხეთის პრეზიდენტი რობერტ კოჩარიანი გაგებით ეკიდება საქართველოს პრობლემას აფხაზეთში სარკინიგზო მაგისტრალის გახსნასთან დაკავშირებით",** - ამის თაობაზე უკვე პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გააკეთა კომენტარი სომხეთის პრეზიდენტთან გამართული შეხვედრის შემდეგ.

ბურჯანაძის თქმით, სომხეთის სახელმწიფო მეთაურს კარგად ესმის თუ რამდენად სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემაა საქართველოსთვის აღნიშნული საკითხი.

ამასთან, მისი ინფორმაციით, რობერტ კოჩარიანმა თავისი არგუმენტები მოიყვანა, თუ რატომ მიაჩნია ძალიან მნიშვნელოვნად აფხაზეთში სარკინიგზო მაგისტრალის გახსნა არამარტო სომხეთის, არამედ საქართველოს ინტერესებისათვისაც ეკონომიკური თვალსაზრისით.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, მან კიდევ ერთხელ უთხრა რობერტ კოჩარიანს, რომ ხელისუფლებას და ოპოზიციასაც ერთნაირი დამოკიდებულება აქვთ ამ საკითხის ირგვლივ – **"სარკინიგზო მაგისტრალი არ შეიძლება გაიხსნას ავტონომიურად თუ არ მოხდა თუნდაც პირველი ნაბიჯების გადადგმა კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების და ლტოლვილების დაბრუნების მიმართულებით".**

პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ და სომხეთის პრეზიდენტმა შაბათს გამართულ შეხვედრაზე საქართველოში 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით შექმნილ სიტუაციაზეც და საარჩევნო კანონმდებლობების საკითხებზეც ისაუბრეს.

როგორც შეხვედრის შემდეგ ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, **"ახალი დემოკრატიის ქვეყნებმა ერთმანეთს უნდა გაუზიარონ გამოცდილება არჩევნების სტაბილურად და თავისუფლად ჩატარების მიმართულებით".**

ბურჯანაძის ინფორმაციით, მან კოჩარიანს აუხსნა ის განსხვავება, რომელიც არსებობს სახელისუფლებო ბლოკ "ახალი საქართველოსთვის" და ოპოზიციის მოთხოვნებს შორის საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით.

სომხეთის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტისას ხელი მოეწერა კომუნიკეს და შეთანხმებას - ინფორმაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ და თანამშრომლობის პროგრამას კულტურისა და განათლების სფეროში 2004-2005 წლებისთვის.

გარდა ამისა, გადაწყდა, რომ მიმდინარე წლის ბოლოს საქართველოსა და სომხეთს შორის სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ სამთავრობო ხელშეკრულებას მოეწერება ხელი.

როგორც ჟურნალისტებს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხეიძემ განუცხადა, თანამშრომლობა - სასაზღვრო სფეროში ოპერატიული ინფორმაციის გაცვლას გულისხმობს. ამასთან წარიმართება მუშაობა ერთობლივი სასაზღვრო-გამშვები პუნქტის შექმნაზე, რომელსაც დონორი ქვეყნები დააფინანსებენ.

ჩხეიძის განცხადებით, მხარეები საქართველო-სომხეთის საზღვრის დელიმიტაციასთან დაკავშირებით მიმდინარე მუშაობის გააქტიურებაზეც შეთანხმდნენ.

იმსჯელეს ნინოწმინდის ელექტროგადამცემი ხაზის რეაბილიტაციის თემაზეც. 90-იან წლებში აგებული ხაზი „ნინოწმინდა", რომლის სიმძლავრეა 110 კილოვატი, მთლიანად უზრუნველყოფდა სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ სომხებს ელექტროენერგიით. პრობლემა მხარეებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ სომხური მხარის მტკიცებით ხაზის მშენებლობა საქართველოს მონაკვეთზე დაჯდა 1 მილიონი დოლარი.

სომხეთის პრეზიდენტის რობერტ კოჩარიანის ვიზიტის დროს სათბობენერგეტიკის მინისტრებმა ისაუბრეს დანახარჯების დაფარვის საკითხებზე. თუმცა, მხარეებმა ვერ შეძლეს შეთანხმების მიღწევა. ქართველი სპეციალისტები კვლავ ირწმუნებიან, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ხაზის მშენებლობის ღირებულება არ აღემატება 500-520 ათასს დოლარს და სომხური მხარის მიერ წარმოდგენილი ციფრი მნიშვნელოვნად აღემატება რეალურ გათვლებს. თბილისში ამასთან დაკავშირებით დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარებას ითხოვენ.

# დევნილებმა სახელმწიფო მინისტრს აფხაზეთში დაბრუნება მოსთხოვეს

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე გუშინ ბაგების სტუდქალაქში "მოქალაქეთა კავშირის" ინიციატივით შეკეთებული ბავშვთა სტადიონის გახსნას დაესწრო. სახელდახელოდ გამართულ შეხვედრაზე ბაგებში განსახლებულმა დევნილებმა ჯორბენაძეს აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენის პირობებში დაბრუნება მოსთხოვეს.

სახელმწიფო მინისტრმა სტადიონზე შეკრებილ ბავშვებს საჩუქრად 4 ბურთი გადასცა და მშობლებს მათი პრობლემების მოგვარებას დაჰპირდა.

"არც ბურთები გვინდა და არც ჰუმანიტალური დახმარება, დაგვაბრუნეთ სახლებში!" - განუცხადეს ჯორბენაძეს დევნილებმა. ამასთან, მათ აღნიშნეს, რომ საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე აფხაზეთში დაბრუნებაზე საუბარი დაუშვებელია. "დამოუკიდებელ აფხაზეთში ცხოვრება რომ გვდომოდა, ახლა იქ ვიქნებოდით. არძინბას ხელისუფლებასთან ერთად ცხოვრებას არ ვაპირებთ," - განაცხადა სოხუმიდან დევნილმა ნოდარ ჩიქობავამ.

გარდა ამისა, დევნილებმა სახელმწიფო მინისტრს კომუნალური და შემწეობების თანხების დროულად დარიგების პრობლემების მოგვარება სთხოვეს. ჯორბენაძემ ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელს დავით სულაძეს დევნილთა პრობლემების უახლოეს დღეებში მოგვარება დაავალა. თავის მხრივ სულაძემ განაცხადა, რომ დევნილთათვის წყლის მიწოდების პრობლემა, შესაძლოა, 2-3 დღეში მოგვარდეს, ლიფტებისა და სახურავების შეკეთებას კი, სავარაუდოდ, ერთი თვე დასჭირდება.

ბაგების სტუდქალაქის დევნილთა კომიტეტის თავმჯდომარის ლუდა დარსანიას მონაცემებით, ბაგების სტუდქალაქში ამჟამად 1519 დევნილი ცხოვრობს, მათ შორის - 500-მდე ბავშვი. მათგან 250 დევნილობაში დაიბადა. **ინტერ-პრესი**

## სამართალი

# ჯონი გიგანის მანქანის აფეთქებაში ბრალდებული გათავისუფლდა

სავაჭრო კომპლექს „მორკინალის" ერთ-ერთი მეპატრონის ჯონი გიგანის ავტომანქანის აფეთქებაში ბრალდებული ორი პატიმრიდან ერთს, გოჩა ყურაშვილს პატიმრობა პოლიციის ზედამხედველობად შეეცვალა. პატიმრობის შეცვლის თაობაზე შუამდგომლობით ვაკე-საბურთალოს სასამართლოს თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფმა მიმართა.

როგორც ცნობილია, გოჩა ყურაშვილსა და ალექსანდრე მაისურაძეს ვაკე-საბურთალოს სასამართლომ გუშინწინ სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. პროკურატურის განცხადებით, მაშინ მათ სასამართლოს შუამდგომლობით ვერ მიმართეს, რადგან არ ჰქონდათ ყურაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო დასკვნა, რომელიც გუშინ ჩაბარდათ.

პროკურატურის შუამდგომლობა სასამართლომ გუშინ განიხილა და ყურაშვილის უმძიმესი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იგი პატიმრობიდან გაათავისუფლა. იარაღის უკანონო შენახვაში ბრალდებული ავადმყოფი მეუღლის გათავისუფლებას კარგა ხანია ითხოვს ფერიდე ყურაშვილი. რომლის თქმითაც, მისთვის გაურკვეველია, ვის უნდა მოთხოვოს პასუხი იმისათვის, რომ „ქმარი ჭკუიდან შეიშალა და გამოჯანმრთელდება თუ არა არავინ იცის".

*24 საათი*

# ლადო ჭანტურია მოსამართლეების უვადოდ დანიშვნას მოითხოვს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია საარჩევნო ადმინისტრაციის მოსამართლეებით დაკომპლექტების წინააღმდეგია და მოსამართლეების შესაძლო პოლიტიკური ზეწოლისაგან დასაცავად მათ უვადოდ დანიშვნას მოითხოვს. ამის შესახებ ჭანტურიამ დღეს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, მოსამართლეთა IV კონფერენციაზე განაცხადა. მან აღნიშნა, რომ ამ საკითხზე კონსულტაციებს ამჟამად პრეზიდენტთან აწარმოებს.

საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც არჩევნების შედეგების დამტკიცების ფუნქციის სასამართლო ორგანოებისთვის გადაცემას ითვალისწინებს, პარლამენტს "ლეიბორისტულმა" პარტიამ წარუდგინა.

დღევანდელ კონფერენციაზე საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეების, სადისციპლინო საბჭოსა და მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის ახალი წევრები აირჩიეს.

როგორც აღინიშნა, საქართველოს მთავრობასა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე ქვეყანაში წარმატებით ხორციელდება სასამართლოების ადმინისტრირების, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სხვა პროექტები.

ისაუბრეს ასევე ადმინისტრაციული კომიტეტისა და სხვა საკოორდინაციო სტრუქტურების მიერ გაწეულ მუშაობაზე. აღინიშნა, რომ უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო საბჭომ გასულ წელს თანამდებობიდან 4 მოსამართლე გაათავისუფლა, ორის მიმართ შეტანილი საჩივარი კი ამჟამად განიხილება.

*ინტერ-პრესი*

# პოლიციის თანამშრომელმა სიძე მოკლა

გუშინ, დილით ზუგდიდის სოფელ ზედა ეწერაში ოდიშის უბნის რწმუნებულმა უმცროსმა-ლეიტენანტმა დავით ბუხალეიშვილმა საკუთარი დის ქმარი 28 წლის რობერტ ხასაია მოკლა. მკვლელობის მიზეზი ოჯახური კონფლიქტი გახდა. ბუხალეიშვილმა სიძეს "აკს"-ის სისტემის ავტომატიდან ესროლა. ინციდენტის შემდეგ დავით ბუხალეიშვილი ზუგდიდის რაიონის პოლიციის სამმართველოს საკუთარი ნებით ჩაბარდა.

მომხდართან დაკავშირებით აღძრულ საქმეს ზუგდიდის რაიონის პროკურატურა იძიებს.

*24 საათი*

# ავჭალის კოლონიიდან მხედრიონელი პატიმრები გაიქცნენ

პირველი გვერდიდან



ავჭალის კოლონია.

სხვათა შორის, არსებული ინფორმაციით, საპატიმრო ადგილებში არსებული კოშკურები, საიდანაც ციხის პერიმეტრის გაკონტროლება ხდება, არყის ბიზნესშია "ჩართული". უფრო ზუსტად, კოშკურებზე მდგარი გუშაგების საშუალებით კოლონიებში ალკოჰოლური სასმელი იოლად შედის. კოშკურაზე მდგარი გუშაგი წინასწარ ბაწრითა და პოლიეთილენის პარკით შეიარაღებული, კოშკურიდან, რომელიც კოლონიის სიახლოვეს გამავალ გზაზე მდებარეობს და, ფაქტობრივად, არყით მოვაჭრეების ბირჟადაა ქცეული, ბაწრით არყის ბოთლებს კოშკურაში ეზიდება, საიდანაც ადრესატს – პატიმარს აწვდის. ამ მომგებიანი ადგილის – კოშკურის გუშაგის პოსტზე, რომელსაც საპატიმროებში ათლარიან კოშკურას უწოდებენ, კონკურსია გამოცხადებული. ადგილების გამანაწილებელ ყარაულის უფროსს კოშკურაზე გუშაგის დასაყენებლად ათი ლარის გადახდა აქვს დაწესებული. კოშკურა ქვებითა და პოლიეთილენის პარკებითაა სავსე, კოლონიის მიმდებარე ტერიტორია კი უკვე ბილიკადაა ქცეული და მას პატიმრები "არყის ტრასას" ეძახიან. სწორედ ამ "არყის ტრასის" მსხვერპლი გახდა გუშინ ბადრაგი ზაურ გაბოძე, რომელმაც არყის გამყიდველს ხელნაკეთი დანა ერთ ბოთლ არაყში გადაუცვალა და კოშკურა დროებით იმიტომ მიატოვა, რომ სასმელი პატიმრებისთვის გადაეცა.

გუშინ, გამთენიისას ავჭალის კოლონიიდან კვლავ განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები გაიქცნენ, ორჯერ ნასამართლევი ზვიად გელაშვილი – მას ყაჩაღობისა და იარაღის უკანონო ტარებისთვის 14 წელი ჰქონდა მისჯილი; დავით გელაშვილი, მასაც ყაჩაღობისა და იარაღის უკანონო ტარებისათვის 13 წელი ჰქონდა მისჯილი; ორჯერ ნასამართლევი გიორგი გელაშვილი, რომელსაც ბანდიტიზმისა და ყაჩაღობისთვის 14-წლიანი პატიმრობა ელოდა; ორჯერ ნასამართლევი ვასილ გაჩეჩილაძე- მას მკვლელობის, ნარკოტიკების შეძენისა და ხულიგნობისათვის 14 წელი კოლონიაში უნდა გაეტარებინა; ორჯერ ნასამართლევი კახაბერ ხუროშვილი, რომელსაც 9 წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი; ორჯერ ნასამართლევი გრიგოლ ყველიაშვილი, მას ადამიანის გატაცებისთვის 7-წლიანი პატიმრობის განაჩენი გამოუტანეს; მეოთხედ ქურდობისთვის გასამართლებული, სამჯერ ნასამართლევი ვეფხია თინიკაშვილი და ასევე ქურდობისთვის დაპატიმრებული რეზო მაისურაძე ქურდობისთვის.

კოლონიიდან გაქცეული გელაშვილები ძმები არიან, ისინი სამართალდამცველებმა რამდენიმე წლის წინ ყაჩაღობისთვის დააკავეს. ძმები გელაშვილები ბორჯომის "მხედრიონის" ლიდერები იყვნენ. "მხედრიონის" ბორჯომის ფილიალი მათ ბიძაშვილმა, მაშველთა კორპუსის ყოფილმა თავმჯდომარემ გიგა გელაშვილმა წლების წინ ჩააბარა.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტი მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევას აწარმოებს.

დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიგლა აგულაშვილმა გაქცევის შესახებ იუსტიციის მინისტრს როლანდ გილიგაშვილს გუშინვე ჩააბარა ანგარიში. მინისტრსა და თავმჯდომარეს შორის გამართული რამდენიმესაათიანი შეხვედრა იმით დასრულდა, რომ გუშინდელი გაქცევის გამო შიდა განაჩენი მხოლოდ გუშაგ ზაურ გაბოძეს გამოუტანეს, რომელიც ცემის შედეგად მიღებული ტვინის შერყევითა და სხვა დაზიანებებით საავადმყოფოშია მოთავსებული.

**"მინისტრთან ჩემი შეხვედრა საპატიმროებში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, საკმაოდ მძიმე იყო. სიტუაცია მართლაც კატასტროფის ზღვარსაა მიღწეული. რაზეა საუბარი, როცა არ არსებობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არ არის ხელფასი, როცა გუშაგებად მევენახეები, მშენებლები ანუ, არაპროფესიონალები მუშაობენ, საერთოდ მოშლილია სისტემა და ამ ყველაფრის ძირითადი მიზეზი არის ის, რომ არ არის ფინანსები. როგორც არ უნდა მოინდომო ფულის გარეშე ამხელა სისტემას, რომელიც დარღვეულია, მარტო სურვილით და ენთუზიაზმით ფეხზე ვერ დააყენებ. ფულს კი არ გვაძლევენ, არ არის... არ მინდა ჩემი ეს განცხადება ვინმემ თავის მართლებად ჩამითვალოს, მაგრამ მართლაც უმძიმესი რეალობა სახეზეა. თუმცა, მე ჩემს წილ პასუხისმგებლობას ნამდვილად არ გავურბივარ და თუ საქმეს ეშველება წავალ კიდეც ამ თანამდებობიდან, თუმცა თამამად შემიძლია თქმა, რომ ვინც არ უნდა იყოს დეპარტამენტის თავმჯდომარე აგულაშვილი თუ სხვა ვინმე, თუ არსებული უსერიოზულესი პრობლემები არ მოგვარდა, უარესი მოხდება,"** – აცხადებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი.

გუშინვე გლდანი-ნაძალადევის პოლიციამ ავჭალის კოლონიიდან გაქცეული ერთ-ერთი პატიმარი რამდენიმე საათის შემდეგ დააკავა. როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ, გიგლა აგულაშვილმა განაცხადა: **"გრიგოლ ყველიაშვილმა გაქცევის შემდეგ მოახერხა მდინარე მტკვრის გადაცურვა და შემდეგ გლდანულაში მომლოდინე მეგობრამდე მისვლა. შემდეგ ის წინასწარ დაქირავებულ ბინაში მიიმალა, მაგრამ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მალე დავაკავეთ."** ყველიაშვილი უკან, ავჭალაში დააბრუნეს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ყველაზე სარფიანი თაღლითობა მოსახლეობის ხარჯზე

პირველი გვერდიდან

მთავრობის მაშინდელი ხელმძღვანელი, თენგიზ სიგუა ამტკიცებს, რომ **„მითვისებული ფულის 85 პროცენტი გატანილია, მაგრამ ახალი ხელისუფლების პირობებშიც კი ამ თანხების დაბრუნება ძალიან რთულია: ინტერპოლს უნდა გადაუხადო. ამიტომ, როგორც გამოცდილება აჩვენებს, უკეთეს შემთხვევაში დასავლეთში გატანილი კაპიტალის მაქსიმუმ 25 პროცენტი თუ დაბრუნდება. ერთადერთი კლასიკური მაგალითია, როდესაც ფილიპინებმა შეძლო ინტერპოლის დახმარებით ქვეყნიდან გატანილი თანხის მნიშვნელოვანი ნაწილის დაბრუნება“.**

თენგიზ სიგუას აზრით, ამ თანხების მეანაბრეებისათვის დაბრუნების უფრო რეალისტური გზა, საწარმოთა და სხვა ობიექტების აქციების გაცემაა, **„ან უნდა დაველოდოთ ყველაზე ჩრდილოვანი მშობლიური ეკონომიკის გაჯანსაღებას. 70-80 პროცენტიანი კონტრაბანდის თუნდაც 30 პროცენტამდე შემცირება ბიუჯეტს დაახლოებით 1,5 მილიარდი ლარით გაზრდის და შესაძლებელი გახდება ანაბრების თანხის ნაწილ-ნაწილ გაცემა, როგორც რუსეთში. იქ ამ თანხების დაბრუნება 10-15 წელზეა გაწერილი, დაახლოებით 1 აშშ დოლარი - 17 მანეთთან, გაცვლითი კურსით. ბალტიისპირეთში ანაბრების თანხის დაბრუნება 1995-96 წლებში დაიწყეს, დაახლოებით ერთ დოლარზე 10-12 მანეთის ექვივალენტით, 8-10 წლიან პერიოდში. პირველ წელს მთელი თანხის თითქმის 14 პროცენტი დაფარეს, შემდეგ წლებში გასაცემი თანხის პროცენტი მზარდია.“**



*რომან გოცირიძე ხელისუფლებას ურჩევს, ანაბრების ვალი აქციებითა და ქონებით გაისტუმროს*

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელის, რომან გოცირიძის სპეციალურ საექსპერტო დასკვნაში კი წერია: **„შექმნილი ეკონომიკური რეალობიდან გამომდინარე და ქვეყნის სამომავლო ვალდებულებების გათვალისწინებით (მათ შორის საგარეო ვალების გასტუმრების აუცილებლობიდან გამომდინარე) უახლოეს 10-15 წელიწადში არარეალურად გამოიყურება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან კომპენსირებისათვის საჭირო 502 მილიონი ლარის (ინდექსირებული თანხის) ნაწილ-ნაწილ დაფარვა. ბიუჯეტის ხარჯებში ყოველწლიურად 10 მილიონი ლარის გამოყოფის შემთხვევაშიც კი (როდესაც 1999 წელს გათვალისწინებული 0,4 მილიონი ლარიც ვერ დაიფარა), ამ თანხების გასტუმრებას დაახლოებით 50 წელიწადი დასჭირდება.“**

მთავრობის ინიციატივას რომან გოცირიძე პოლიტიკური პოპულიზმის გამოვლენის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშად მიიჩნევს. „რაც შეეხება მეანაბრეთა დანაკარგების ანაზღაურებას, ეს მართლაც აუცილებელია და შესაძლებელია მისი განხორციელების უფრო რეალური გზის გამოძებნა,“ - ფიქრობს გოცირიძე. მისი თქმით, უნდა შემუშავდეს ინდექსირების ისეთი მექანიზმი, როდესაც საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ, მოქალაქეები მიიღებენ საწარმოთა აქციებს, მიწებსა თუ სხვა უძრავ ქონებას. ამის შესახებ არაერთხელ იყო აღნიშნული საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მოხსენებებშიც, მაგრამ რომან გოცირიძე ამას უკვე დაგვიანებულად თვლის.

პრეზიდენტის №321 განკარგულებით შექმნილი სპეციალური კომისიის თავმჯდომარე ელგუჯა მექვაბიშვილი აცხადებს, რომ მოსახლეობისადმი ვალის არსებობაზე დავა აღარ არის, **„მაგრამ დაჯდეს ორივე მხარე და შეაჯერონ ანაბრების ინდექსაციის მექანიზმი, რომ რაიმე კომპრომისული ვარიანტი მივიღოთ“**. მისი აზრით, ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს: **„მეორე საკითხია, როდის და როგორ გადაიხდის სახელმწიფო. ამით მარტო მეანაბრეები არ უნდა იყვნენ დაინტერესებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ამბავი ნებისმიერი ხელისუფლების დროს იქნება დავის, დაპირისპირებისა და სოციალური დაძაბულობის მიზეზი.“**

## სად არის სამართალი?

მეანაბრეების ფულის სამართლებრივი გზით დაბრუნება რომ ძალიან რთულია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ, სხვა გამოსავალიც რომ აღარ დარჩა - ესეც უდავოა.

სსრკ-ს დროს ერთიანი სამართლებრივი სივრციდან საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად ქცეული ქვეყნები და მათი მოსახლეობა რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. მაგრამ, ცნობილი იურისტ-ექსპერტი დავით უსუფაშვილი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით ნებისმიერ მეანაბრეს შეუძლია პრეტენზიის წაყენება რუსეთის მიმართ. **„მე ფული ჩავაბარე სსრკ-ს შემნახველ ბანკს. რუსეთი არის მისი სამართალმემკვიდრე. მე ვითხოვ რუსეთისაგან, რომ თუ მან ჩემდამი ვალდებულება მერე სხვას გადააბარა - ეს მისი საქმეა. რუსეთმა უნდა უზრუნველყოს ჩემთვის ამ ფულის დაბრუნება და თუ უნდა საქართველოს მთავრობას გამოართვას, თუ უნდა სხვას - მე არ მაინტერესებს,“** - აი ასეთ მიდგომას სთავაზობს მეანაბრეს დავით უსუფაშვილი.

საერთაშორისო სამართლის ექსპერტი კოტე კორკელია ნაკლებად რადიკალურია: **„არსებობს დსთ-ს ეკონომიკური სასამართლო და გადასამოწმებელია, მათი იურისდიქცია თუ ვრცელდება ამ საკითხზე. თუ ასეა, მაშინ საქმის არსებით განხილვაზე პრობლემა არ შეიქმნება.“** ევროპულ სასამართლოში მიმართვამდე მას აუცილებლად მიაჩნია ხსენებული შეთანხმების ბათილობის დასაბუთება. **„საქართველოს სახელით მურმან ომანიძის მიერ ხელმოწერის უფლებამოსილების ეჭვქვეშ დაყენება შეუძლია საქართველოს ნებისმიერ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს. თუ შეთანხმების ბათილობა დადასტურდა, მერე უნდა დადგინდეს პასუხისმგებელი მხარე - საქართველო თუ რუსეთი,** - განმარტავს კორკელია და დარწმუნებულია, რომ **- საქართველო არ იქნება, რადგან მას არ აუღია საერთაშორისო ვალდებულება. ასეთი ვალდებულება აიღო სსრკ-მა და რუსეთი კი მისი სამართალმემკვიდრე, ანუ გამგრძელებელია. სსრკ-ს ყველა ვალდებულება რუსეთმა თავის თავზე აიღო.“**

მაგრამ ამ მთავრობის ხელში ასეთი გამბედაობის იმედი არ უნდა გვქონდეს. მათი უსუსურობა ქიმერულს ხდის კონტრაბანდის შემცირებისა და საბიუჯეტო რესურსების გაზრდის პერსპექტივას. ხოლო სულ ახლახან პარლამენტში შეტანილი ინიციატივა საპენსიო დავალიანებების ობლიგაციებით გასტუმრების შესახებ, საკუთარ ვალდებულებებზე პირდაპირი უარის ტოლფასია. მთავრობა საპენსიო 116 მილიონი ლარის დავალიანების დაფარვას 7 წელიწადზე „გეგმავს“ და დაცული მუხლების 300 მილიონის გასტუმრებაზე კრინტსაც არ ძრავს. ასეთ ვითარებაში მას არასოდეს მოუნდება დიდი ხნის აღიარებული 502 მილიონის დაბრუნება კანონიერი მფლობელებისათვის, თუ ის არ აიძულეს.

# აუქციონები იწყება

მაია მოსიაშვილი

დღეს რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექცია მარნეულში აუქციონის წესით გაყიდის სელექციური მიღწევების გამოცდის მარნეულის სადგურს, რომელსაც ადრე სახელმწიფო ჯიშთა გამოცდის ნაკვეთი ერქვა. ეს აუქციონი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნით საგადასახადო კოდექსში ახლახან შეტანილი ცვლილების საფუძველზე ტარდება. 42-ე თავის ცვლილებამ საგადასახადო ინსპექციას უფლება მისცა, მისდამი დავალიანების მქონე ობიექტები იძულებითი აღსრულების წესით გაყიდოს. მარნეულის სელექციური სადგურის საბიუჯეტო დავალიანება დაახლოებით 6 ათასი ლარია, მის გაყიდვას კი დაახლოებით 8 ათას ლარად აპირებენ.

რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციას მომავალ თვეში კიდევ ორი ღია აუქციონის ჩატარება აქვს დაგეგმილი. გაიყიდება შპს „აღმშენებელი 96“, რომლის საბიუჯეტო ვალი 40 500 ლარია და შპს „მონტაჟტურბო“, ათიათას ლარიანი დავალიანებით. გარდა ამისა, იძულებითი აღსრულების ღონისძიების ჩატარებაზე ნებართვის მისაღებად საგადასახადო სამსახურს სასამართლოში ოცამდე საქმე აქვს შეტანილი.

აუქციონზე გაყიდვას ამჯერად გადაურჩა „რუსთავგაზი“, რადგან მისი საბიუჯეტო დავალიანების ოდენობის დასადგენად სასამართლო დავა მიმდინარეობს.

რუსთავის საოლქო საგადასახადოში აცხადებენ, რომ აუქციონების ჩატარება გარკვეულ რეზერვს ქმნის, თუმცა ის საკმარისად დიდი არ არის და ეს რეზერვი გეგმის 25-30 პროცენტიან ზრდას ვერ დააძლევინებთ.

მათივე ინფორმაციით, მენარჩენე საწარმოების საბიუჯეტო დავალიანება რუსთავში 160 მილიონ ლარს შეადგენს, აქედან 106 მილიონი ვალის მქონე მსხვილ საწარმოებში - მეტალურგიულ კომბინატში, ქიმბოჭკოში, ტამში - გაკოტრების პროცესია დაწყებული. ეს ნიშნავს, რომ 42-ე თავის ცვლილება მათ არ შეეხებათ. დარჩენილი 80 მილიონიდან კი, 40 მილიონი ლარის ქონება უკვე დაგირავებულია.

# ფინანსთა სამინისტროში კორუფციას სერტიფიცირებული ინსპექტორები შეებრძოლებიან

საგადასახადო სისტემაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ, ტრადიციულად განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე განყოფილებად შერაცხული გენერალური ინსპექციის 36 თანამშრომელს, გუშინ ამერიკული ტრეინინგის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები, აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის მრჩეველმა დუგლას სკოტმა გადასცა. ფინანსთა სამინისტროში იმედოვნებენ, რომ განსწავლული ინსპექტორები უფრო ეფექტურად შეძლებენ მოვალეობების შესრულებას და თანამშრომლებსაც მათი გაცილებით მეტი შიში და რიდი ექნებათ.

„თქვენს დანახვაზე ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული უწყებების ნებისმიერი თანამშრომელი უნდა თრთოდეს. გენერალური ინსპექცია სისტემაში კორუფციის დაძლევის გარანტი უნდა გახდეს“ - მიმართა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ლაშა ჟვანიამ ტრეინინგგავლილ თანამშრომლებს. გენერალური ინსპექციის ინსპექტორებისთვის სწავლების სპეციალურ, ინტენსიურ ერთთვიან კურსს თავად აშშ-ის ხაზინის მრჩეველი დუგლას სკოტი უძღვებოდა. ეს პროგრამა, რომელიც უკვე საშწელიწადნახევარია მიმდინარეობს, აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის მიერვე ფინანსდება.

ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის გენერალური ინსპქციის 73 ინსპექტორს სამინისტროს სიტემაში დასაქმებული 4400 თანამშრომლის საქმიანობის კანონიერების გაკონტროლება ევალება. როგორც ჩანს, გენერალური ინსპექცია ამ ფუნქციას მანამდეც არცთუ ურიგოდ ართმევდა თავს. გენერალური ინსპექციის უფროსის ვლადიმირ კონსტანტიდის განცხადებით, ბოლო რვა თვის განმავლობაში ინსპექციის მიერ აღმოჩენილი სხვადასხვა დარღვევების გამო, ფინანსთა სამინისტროს სისტემიდან 100-მდე თანამშრომელი გათავისუფლდა.

*24 საათი*

*უცხოეთი*

# კონდოლიზა რაისი - მშვიდობის მისიონერი

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ, ახლო აღმოსავლეთში ეროვნული უშიშროების საკითხებში აშშ-ს პრეზიდენტის მრჩევლის და თანაშემწის კონდოლიზა რაისის ტურნე დაიწყო. მან პარასკევს ისრაელსა და პალესტინის მხარეებს შორის მოლაპარაკებებზე მიღწეული შეთანხმებები უნდა გაამყაროს. როგორც ვიუწყებოდით, პარასკევს, დაპირისპირებულმა მხარეებმა მოილაპარაკეს, რომ ისრაელის არმიის დანაყოფები ღაზას სექტორის ჩრდილოეთ რაიონებს და ქალაქ ბეთლემს დატოვებდნენ. ამ ტერიტორიას ამიერიდან პალესტინის ადმინისტრაცია გააკონტროლებს. ისრაელიც და პალესტინაც ამ შეთანხმებას “საგზაო რუკად” წოდებული სამშვიდობო გეგმის ერთ-ერთ ნაწილად განიხილავენ. ამის შემდეგ, უკვე რეალურად ჩნდება იმედი, რომ სამშვიდობო პროცესი სწრაფი ტემპით წარიმართება და საბოლოოდ ზღვარი დაედება ახლო აღმოსავლეთში სისხლისღვრას, რომელიც ოცდაცამეტი თვეა შეუჩერებლად გრძელდება.

ამ იმედს კონდოლიზა რაისის ვიზიტი კიდევ უფრო ამყარებს. რეგიონში ჩასული აშშ-ის პრეზიდენტის ემისარი ჯერ პალესტინის პრემიერ-მინისტრს მაჰმუდ აბასს შეხვდება, რის შემდეგაც ისრაელის პრემიერ-მინისტრთან არიელ შარონთან გამართავს მოლაპარაკებებს. მოსალოდნელია, რომ ქალბატონი რაისი ისრაელს პალესტინის ტერიტორიაზე თავდასხმების შეწყვეტისაკენ მოუწოდებს და ამავე დროს დაგმობს პალესტინელი რადიკალების ტერორისტულ აქციებს ებრაელების წინააღმდეგ.



*კონდოლიზა რაისი*

ისრაელი შეთანხმების თანახმად, თავისი ჯარების გაყვანას ღაზას სექტორის ჩრდილოეთ ნაწილიდან და ბეთლემიდან მომავალი კვირიდან დაიწყებს. ისრაელის ხელისუფლება პალესტინელებს ამ რაიონებში თავისუფალი გადაადგილების პირობას აძლევს. გარდა ამისა, ისრაელის არმიის დანაყოფები პირობას დებენ, რომ პალესტინელი მებრძოლების წერტილოვან ლიკვიდაციას აღარ გააგრძელებენ. სანაცვლოდ, პალესტინის ადმინისტრაცია თავის თავზე იღებს ღაზას სექტორის ჩრდილოეთ რაიონის და ქალაქ ბეთლემის გაკონტროლებას და უსაფრთხოების ნორმების დაცვას. მაგრამ ისრაელისათვის ეს საკმარისი არ არის. ამიტომაც, პალესტინის უშიშროების მინისტრმა დაჰლანმა პირობა დადო, რომ დაუნდობლად შეებრძოლება იმ რადიკალურ ექსტრემისტულ დაჯგუფებებს, რომლებიც ისრაელის ტერიტორიაზე შეტევას კვლავ განიზრახავენ.

როგორც ჩანს, პალესტინური რადიკალური დაჯგუფებები ამჟამად კეთილგონიერებას იჩენენ და შექმნილ ვითარებას ანგარიშს უწევენ. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ნაბიჯი ჯერ მხოლოდ “ჰამასმა” გადადგა. **“ჰამასმა შეისწავლა არსებული ვითარება და მიიღო გადაწყვეტილება საბრძოლო მოქმედების შეწყვეტის შესახებ,”-** განაცხადა ორგანიზაციის სულიერმა ლიდერმა და იდეოლოგმა შეიხ აჰმედ იასინმა. გუშინ ასეთივე გადაწყვეტილება უნდა მიეღო მეორე ძლიერ ტერორისტულ დაჯგუფება “ისლამურ ჯიჰადსაც.”

ისინი რომ მშვიდობის მტრედები არ გახდებიან ეს ყველამ იცის. მათ მხოლოდ შექმნილ ვითარებას გაუწიეს ანგარიში, რადგან თუკი “ჰამასი” და “ისლამური ჯიჰადი” კვლავაც გააგრძელებდნენ ტერორისტულ საქმიანობას, მშვიდობისათვის ერთადერთ ხელისშემშლელებად ისინი წარმოჩინდებოდნენ. გარდა ამისა, მსოფლიო ჰეგემონის მუქარამ და მოწოდებამ “ჰამასის” ლიკვიდაციის შესახებ თავისი მისია შეასრულა. ტერორისტებმა უკან დაიხიეს და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს. ახლა უკვე ამ ვითარების გამაგრება და შემდგომი სვლების დაგეგმვაა საჭირო. ამ მისიას კი, ამჯერად კონდოლიზა რაისი შეასრულებს.

# ძლიერი აფეთქება ჰააგის ცენტრში

გუშინ ჰააგის ცენტრში ძლიერი აფეთქება მოხდა. მომხდარის სავარაუდო მიზეზად ჰააგის სახანძრო დაცვის სამსახურის წარმომადგენელმა საყოფაცხოვრებო გაზის აფეთქება დაასახელა. ორი საცხოვრებელი სახლი ნაწილობრივ დაინგრა. დაშავდა ათეულობით ადამიანი, მათ შორის 8 ადგილობრივი საავადმყოფოების სარეანიმაციო განყოფილებებშია მოთავსებული.

*24 საათი*

# ირანის რეფორმატორული წრეები საკმაოდ შეშფოთებული არიან

ირანის გენერალურმა პროკურორმა განაცხადა, რომ ქვეყანაში საყოველთაო სტუდენტური მღელვარებების გამო, ოთხი ათასი ადამიანია დაპატიმრებული.

სტუდენტური ორგანიზაციების ხელმძღვანელთა და აქტივისტების მასობრივმა დაპატიმრებებმა რეფორმატორული წრეები საკმაოდ შეაშფოთა. გენერალური პროკურორის აიათოლა აბდონაბი ნამაზის ცნობით, ოთხი ათასი დაკავებულიდან თითქმის ნახევარი, დაკითხვების შემდეგ გაათავისუფლეს. ირანის საპყრობილეებში კვლავ იმყოფება ორი ათასზე მეტი აქტივისტი. ნამაზის თქმით, მათ შორის არიან სტუდენტებიც. საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, რომ ირანის სამართალდამცავმა ორგანოებმა მასობრივი მღელვარებების მოწყობის ბრალდებით დააპატიმრეს ირანში უმსხვილესი სტუდენტური მოძრაობის ორი ხელმძღვანელი: აბდულა მომენი და მაჰდი ამინზადე.

როგორც გაირკვა, ერთი კვირის წინ, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა ირანის უშიშროების სამსახურის ოთხმა თანამშრომელმა გააჩერეს ავტომანქანა, რომელშიც ამინზადე იმყოფებოდა. მათ სტუდენტური მოძრაობის ლიდერი მანქანიდან გადმოიყვანეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

ამინზადეს სამყოფელი დღემდე უცნობია. ასევე დაუდგენელია, თუ კონკრეტულად რა ბრალდება აქვს მას წაყენებული. უნდა ითქვას, რომ ბოლო სტუდენტურ მღელვარებებში ამინზადე არ მონაწილეობდა.

როგორც იუწყებიან, ირანელი სტუდენტები მასობრივი დაპატიმრებების გამო კვლავ გეგმავენ აქციების მოწყობას. მათ, პირველ რიგში, ქვეყნის პრეზიდენტს მოჰამედ ჰათამის მიმართეს. სტუდენტებმა პრეზიდენტს ვითარებაში გარკვევა, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში თანამდებობიდან გადადგომა მოსთხოვეს. პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილს ასზე მეტი სტუდენტი აწერს ხელს. ისინი ქვეყანაში რეპრესიების შეჩერებას ითხოვენ.

# ლიბერიელები საშველად აშშ-ს უხმობენ

აფრიკის სახელმწიფო ლიბერიაში ხალხს სისხლისღვრა და ქაოსი უკვე მობეზრდა. ლიბერიელებმა სამთავრობო ძალებსა და ამბოხებულებს შორის ცეცხლის დროებითი შეწყვეტით ისარგებლეს და დედაქალაქის ქუჩებში გამოვიდნენ. გუშინ ათასობით ლიბერიელი მონროვიაში გამართული დემონსტრაციის დროს თავისი ქვეყნის საქმეებში აშშ-ის პირდაპირ ჩარევას ითხოვდნენ და ვაშინგტონს დახმარებისკენ მოუწოდებდნენ.

ლიბერიელები აშშ-ის საელჩოს წინ შეიკრიბნენ. მათ იმედი აქვთ, რომ თეთრი სახლის ადმინისტრაცია ქვეყანაში სამოქალაქო ომის დასრულებისა და მშვიდობის დამყარებისათვის იზრუნებს.




*ლიბერიელები აშშ-ის საელჩოს წინ.*

დემონსტრანტებს თავად ქვეყნის პრეზიდენტი ჩარლზ ტეილორიც შეუერთდა, რომელიც მოულოდნელად კბილებამდე შეიარაღებულ დაცვასთან ერთად გამოჩნდა. მან თანამემამულეებს განუცხადა, რომ პრეზიდენტის ერთგულმა საჯარისო დანაყოფებმა ამბოხებულები დედაქალაქიდან განდევნეს. ტეილორმა აქვე დასძინა, რომ უერთდება ხალხის მოთხოვნას და სურს, რომ აშშ-მა ხელი შეუწყოს ლიბერიაში მშვიდობის დამყარებას. საგულისხმოა, რომ ჩარლზ ტეილორმა ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც თეთრი სახლის მეთაურმა ჯორჯ ბუშმა პირდაპირ მოუწოდა ლიბერიის პრეზიდენტს თანამდებობის დატოვებისაკენ, რათა ამ ნაბიჯით ტეილორს **“გადაერჩინა თავისი ქვეყანა კიდევ უფრო დიდი სისხლისღვრისაგან.”**

ამჟამად სამოქალაქო ომის პირობებში მყოფ ლიბერიაში საკმაოდ რთული ვითარებაა შექმნილი. იმ ქალაქებიდან რომლებიც ამბოხებულებმა დაიკავეს, 250 ათასზე მეტი ადამიანია გამოქცეული, რომლებიც ღია ცის ქვეშ ცხოვრობენ. მოსახლეობისგან დაცლილ ქალაქებში კი, ამბოხებული ჯარისკაცების თარეში ძლიერდება. ისინი იტაცებენ ყველაფერს, რაც კი შეიძლება. სააგენტო “ბიბისის” ცნობით, ამბოხებულებს მაროდიორობაში არც სამთავრობო დანაყოფები ჩამორჩებიან და ხშირ შემთხვევაში აჭარბებენ კიდეც. ხელისუფლება კი ამტკიცებს, რომ სამთავრობო ძალებმა ამბოხებულები საპორტო რაიონიდანაც განდევნეს და მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სრული წესრიგი სუფევს.

რამდენიმე ხნის წინ, დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოებმა სამშვიდობო ინიციატივა შეწყვიტეს, რადგან ქვეყანაში სამხედრო მოქმედებები ერთი წამითაც არ შეჩერებულა. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება მხოლოდ მას შემდეგ იქნა მიღწეული, რაც დედაქალაქისათვის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ამბოხებულებმა უკან დაიხიეს. როდემდე გასტანს დროებითი მშვიდობა არავინ იცის. ვაშინგტონი კი ჯერჯერობით ჩარევას არ აპირებს და მხოლოდ სისხლისღვრის შეწყვეტის მოწოდებებით გამოდის.

ფოსტა

## გაზეთ „24 საათის" რედაქციას

პატივცემულო რედაქცია,

თქვენი გაზეთის ა.წ. 27 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა სტატია სათაურით "თეთრი ლაქები საქართველოს რუკაზე", რომელიც მიეძღვნა რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ბატონ ზურაბ აბაშიძის მოსკოვში, ამა წლის 26 ივნისს გამართული პრესკონფერენციის ანგარიშს.

სამწუხაროდ, სტატიის იმ ნაწილში, რომელშიც საუბარია პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ მოსკოვსა და დიდ ბრიტანეთში საქართველოს მისამართით გაჟღერებულ განცხადებებზე, ელჩის ბატონ ზურაბ აბაშიძის ციტირებისას დაშვებულია ერთგვარი უზუსტობა. კერძოდ, პუბლიკაციის ქვესათაურში ("საქართველოს ელჩი დადებითად აფასებს რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლას დიდ ბრიტანეთში"), ასევე ტექსტშიც აღნიშნულია, რომ საქართველოს ელჩი დადებითად აფასებს და მიესალმება რუსეთის პრეზიდენტის ზემოაღნიშნულ განცხადებებში ჩადებულ იმ შეფასებებს, რაც ტერორიზმთან ბრძოლისა თუ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების ასპექტებს ეხება.

ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემოგთავაზოთ ელჩის გამოსვლის ზუსტი ტექსტი, რომელიც აღბეჭდილია პრესკონფერენციის ამსახველ აუდიო და ვიდეომასალებში:

"რა თქმა უნდა, ჩვენ დიდი ყურადღებით მოვეკიდეთ იმ განცხადებებს, რომლებიც გააკეთა რუსეთის პრეზიდენტმა ბატონმა პუტინმა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე. აფხაზეთის თემატიკასა და საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე ისაუბრა პრეზიდენტმა პუტინმა ასევე გუშინ, დიდ ბრიტანეთში ვიზიტის დროს. ჩვენ მივესალმებით პრეზიდენტ პუტინის იმ შეფასებებს, რომლებშიც საუბარია აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების უმთავრეს პრინციპზე – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაზე, რაღა თქმა უნდა, აფხაზებისა და რეგიონში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა კანონიერი უფლებების გათვალისწინებით... ჩვენ ასევე ვიზიარებთ იმ მოსაზრებასაც, რომ აუცილებელია მხარეთა მიერ კომპრომისის მიღწევა..."

გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ჩვენი წერილი თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენი ნაყოფიერი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

**რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს პრეს-სამსახური**

ინფორმაცია

## დასახელდნენ „საუკეთესო სუფრის მადლის" გამარჯვებულები

გუშინ დასრულდა კონკურსი "საუკეთესო სუფრის მადლი" და მერიაში შეკრებილმა ჟიურიმ გამარჯვებულები გამოავლინა. კონკურსის ფორმატით რესტორნების პაექრობაში ოქროს მედლები დაიმსახურეს მუზეუმ-რესტორნებმა "წისქვილი" და "ძველი სახლი", კლუბ-რესტორანმა "კრისტალი", ეროვნული სტილის რესტორანმა "იმერეთი" და რესტორანმა "მარკო პოლომ".

კლუბ-რესტორან "ემიგრანტის" მოხატვისათვის მხატვარ გია ბუღაძეს გადაეცა პრიზი. რესტორან "ნიკალას" მენეჯერი დავით მამულაშვილი საუკეთესო მენეჯერად აღიარეს.

მინერალური წყლების კონკურსში ოქროს მედლით დაჯილდოვდნენ ბორჯომის "ლიკანი 95", აჭარული "კოკატაური", ვერცხლის მედალი კი "სქურმა" და "ურაველმა" მიიღეს.

საუკეთესო ლუდის კონკურსში პირველები იყვნენ "არგო პორტერი", ყაზბეგის "ტრადიციული" და "რუსთავი", თბილლუდის "ხევსურული".

უალკოჰოლო სასმელებში ოქროს მედალი ლიმონათებმა "ადანაია" და "ნიკორამ" დაიმსახურეს .

დღეს კლუბ-რესტორან "კრისტალში" შედგება გამარჯვებულთა შოუ.

*24 საათი*

## აბა, ჩქარა ბაზარში!

მიმდინარე კვირის განმავლობაში სამომხმარებლო პროდუქტზე ფასები შემცირდა.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, კვირის განმავლობაში კარტოფილი, ყველი, ხახვი, ქათმისა და ღორის ხორცი საშუალოდ 10-30 თეთრით გაიაფდა, საქონლის ხორცი კი გაძვირდა.

სტატისტიკოსთა ცნობით, გასულ კვირასთან შედარებით, ფასების საერთო დონე საშუალოდ 0,86 პროცენტით შემცირდა, მათ შორის სურსათზე - 2,38 პროცენტით. არასასურსათო საქონელსა და მომსახურებაზე კი ფასები უცვლელი დარჩა. გასულ კვირას კარტოფილი და საქონლის ხორცი იყო გაიაფებული, ყველი კი - გაძვირებული. **ინტერ-პრესი**

მოკლედ

**თბილისი.** საქართველოში ნარკოლოგიის დარგში მომუშავე ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურა ამიერიდან კოორდინირებულად იმუშავებს. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის გელა ლეჟავას განცხადებით, დღეისათვის საქართველოში ამ პრობლემაზე, დაახლოებით, 15-მდე ორგანიზაცია მუშაობს, თუმცა მათ დიდ ნაწილს ნარკოლოგიის ინსტიტუტთან კავშირი არ აქვს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სტალინის სახელობის მტკვრის მარჯვენა სანაპიროს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელი მიენიჭა. ეს გადაწყვეტილება თბილისის საკრებულომ ერთხმად მიიღო. მტკვრის მარჯვენა სანაპიროსთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების ინიციატივა საკრებულოს უხუცეს წევრს კოტე ჩოლოყაშვილს ეკუთვნის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს ლეიბორისტული პარტია" თბილისში არსებული ბიბლიოთეკების თანამშრომლებს სამსახურში დაბრუნებას ჰპირდება. ფრაქცია "ლეიბორისტის" ინიციატივით თბილისის საკრებულომ დედაქალაქის მთავრობას ბიბლიოთეკების ქსელის აღდგენა, შესაბამისი შენობებისა და წიგნის ფონდის შესაძენად თანხების გამოყოფა დაავალა. მთავრობა ვალდებულია ასევე, კადრები შეარჩიოს და ხელფასით უზრუნველყოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**მცხეთა.** გუშინ ზუგდიდ-ცაიშის ეპისკოპოსი, მეუფე გერასიმე მცხეთაში ახლადაშენებული ღირსი იოანეს (თორნიკე ერისთავის) სახელობის ეკლესიას აკურთხებს.

როგორც მეუფე გერასიმემ ბრძანა, ორნავიანი, ბაზილიკური სტილის ტაძრის მშენებლობა გასული წლის ზაფხულში დაიწყო და წელს დასრულდა. მისი დამპროექტებელი რეზო ცხვარაძეა, ფინანსური მხარე კი, საგზაო პოლიციის თანამშრომელმა ილო რუხაძემ უზრუნველყო. მეუფეს თქმით, საქართველოში ეს არის პირველი ეკლესია, რომელიც თორნიკე ერისთავის სახელს ატარებს.

ტაძრის კურთხევის შემდეგ, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II პარაკლისს აღავლენს. **ინტერ-პრესი**

# ტაძარს ქართული იერი დაუბრუნდება

### ბოდბის მონასტრის რეკონსტრუქცია შემოდგომაზე დასრულდება

თამარ დვალი

*წმიდა ნინოს სახელობის სამონასტრო კომპლექსი და საეპისკოპოსო ცენტრი კახეთში, ქართველი განმანათლებლის, წმიდა ნინოს საფლავთანაა აგებული. იგი მრავალჯერ იქნა შეკეთებული და რესტავრირებული. კომუნისტების პერიოდში მონასტერი საავადმყოფოდაც გადაკეთდა. მოგვიანებით რუსებმა მას გუმბათები მიუმატეს და ქართული იერსახე დაუკარგეს. ტრადიციული მონასტერი 1991 წელს კვლავ აღდგა. ამჟამად ბოდბეში სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს. სავარაუდოდ, ოქტომბრისთვის ტაძარს ისევ ძველებური, ქართული იერი დაუბრუნდება.*



*შეუძვრელად ეგოს ადგილი ესე...*

### შეუძვრელად ეგოს ადგილი ესე უკუნისამდე

წმიდა ნინოს საფლავზე პირველი ტაძარი მირიან მეფემ ააგო. გარდაცვალების წინ კი ასეთი ანდერძი დაუტოვა ნანა დედოფალს: "ჩემი სიკვდილის შემდეგ სამეფო განძი ორად გაყავი და ერთი ნაწილი წმიდა ნინოს საფლავს შესწირე, რათა უკუნისამდე შეუძვრელად ეგოს ეს ადგილი". ბოდბის მონასტერი მეხუთე საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა გააფართოვა, ხოლო სამნავიანი ბაზილიკის სახე მან მერვე-მეცხრე საუკუნეებში მიიღო.

წმიდა ნინოს მონასტერი მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში მნიშვნელოვანი მწიგნობრული კერა იყო. 1837 წლიდან ბოდბეში მონასტერი გაუქმდა და სამრევლო ეკლესიად იქცა. 1889 წელს ბოდბის დედათა მონასტერი გაიხსნა, სადაც არსებობდა სამასწავლებლო სკოლა ხელსაქმე და მხატვრობა ისწავლებოდა.

ამჟამად მონასტერში 33 მონაზონი და მორჩილია. სავანე ნელ-ნელა პირვანდელ სახეს იბრუნებს. დედების თქმით, თავის დროზე მონასტერში კომუნისტებს საავადმყოფო გაუხსნიათ და ივერის ღვთისმშობლის ხატი საოპერაციო მაგიდად გამოუყენებიათ. ქართველების თხოვნის მიუხედავად, რუს ექიმს ხატი მაინც არ დაუბრუნებია და ღვთისმშობლის ფრესკა მრავალჯერ დაუსერია, რის შედეგადაც ხატს სისხლი წამოსვლია. სრულიად ჯანმრთელი რუსი ექიმი მალევე გარდაცვლილა. ივერის ღვთისმშობლის ხატი ამჟამად მონასტერშია დასვენებული და მას სასწაულმოქმედი ძალა აქვს.

დედების გადმოცემით, წმიდა ნინოს ლოცვით მონასტრის ტერიტორიაზე წყარო აღმოცენებულა, რომელიც კომუნისტებმა საავადმყოფოს სამრეცხაოდ გამოიყენეს. წყარო მალევე დაშრა და მოგვიანებით სხვა ადგილას, ტყეში ამოხეთქა. ახლა წყაროს ადგილას პატარა ტაძარია აგებული. იგი წმიდა ნინოს მშობლების - წმ. ზაბულონისა და წმ. სოსანას სახელობისაა. წყალს ნაკურთხი წყლის ძალა აქვს და ქრისტიანები განბანის შემდეგ, რწმენისამებრ, იკურნებიან. დედები თავად არიან მრავალი სასაწაულის მხილველნი.

"რამდენიმე წლის წინათ რუსეთიდან ხანშიშესული ცოლ-ქმარი ჩამოვიდა. მათ, მკურნალობის მიუხედავად, შვილი წლების განმავლობაში არ უჩნდებოდათ. ერთი კვირა მონასტერში ლოცვაში გაატარეს და წმიდა ნინოს წყაროში დიდი რწმენით განიბანენ. ერთი წლის თავზე მათ გოგონა შეეძინათ და კვლავ დაბრუნდნენ მონასტერში, რათა მადლიერება გამოეხატათ. ასევე ჩვენს თვალწინ განიკურნა ბავშვი, რომელსაც სახსრების დაავადება ჰქონდა", - გვიამბეს დედებმა.

მშენებლობაში ბოდბის მოსახლეობაც აქტიურად მონაწილეობს. დედების შემწეობით, 2 წლის წინათ მონასტრის ეზოში სამრეკლო აიგო. ამჟამად გალავანს გარეთ საქონლის სადგომი და კელიები შენდება. მიმდინარეობს ეზოს მოპირკეთება.

### დედათა ცხოვრება

დედათა მონასტერი ბოდბეში ალექსანდრე მესამის ბრძანებით, მეცხრამეტე საუკუნეში გაიხსნა. იღუმენები სხვადასხვა დროს იყვნენ თამარ მარჯანიშვილი (კოტე მარჯანიშვილის და) და ნინო ვაჩნაძე. რუსეთის ეკლესია ამჟამად დედა თამარის წმიდანად შერაცხვის საკითხს განიხილავს. იმ პერიოდში მონასტრის დების რიცხვი სამასს აღწევდა. აქვე არსებობდა კეთილშობილ ქალთა სასწავლებელიც.

ამჟამად მონასტერში 33 მოწესე დედაა. ისინი, ძირითადად, ახალგაზრდები არიან და, იღუმენი თეოდორას ხელმძღვანელობით, მრავალგვარ საქმიანობას ეწევიან. დილა მათთვის ექვსის ნახევარზე ლოცვებით იწყება, შემდეგ ტრაპეზობენ. საღამოს ლოცვების წაკითხვის შემდეგ თავიანთ მორჩილებას ასრულებენ. ზოგი ბაღს ასუფთავებს და ყვავილებს რგავს, ზოგი საქონელს და ფრინველს უვლის. იქ ყველას თავისი საქმე აქვს გასაკეთებელი. ამჟამად ბოდბეში 7 მონაზონი ცხოვრობს. იმისათვის, რომ ქალი მონაზვნად აღიკვეცოს, მან ჯერ მოძღვრისაგან უნდა აიღოს კურთხევა და მორჩილად წავიდეს მონასტერში. შემდეგ მონაზვნად აკურთხებენ და სულ ბოლოს ხდება მისი აღკვეცა. ვადა დაწესებული არ არის. იღუმენი და მოძღვარი თავად წყვეტენ, ვინ რამდენ ხანში გაივლის თითოეულ ეტაპს. ბოდბეში ყველაზე პატარა მორჩილი 14 წლის იყო. იგი 20 წლის ასაკში უკვე მონაზვნად აკურთხეს.

მონასტრის დები ქართული მონასტრებისათვის ტრადიციულ მწიგნობრულ საქმიანობასაც ეწევიან - უძველეს ხელნაწერთა მიხედვით, გამოსაცემად მზადდება საღვთისმსახურო წიგნები. მონაზვნები ქართველი განმანათლებლის საფლავზე, სრულიად საქართველოს საკეთილდღეოდ, ყოველდღიურად აღავლენენ წირვა-ლოცვას.

# ამ ხალხის გადარჩენას 200 ათასი ლარი ყოფნის

### მაგრამ ფული არ არის და 16 სართულიანი კორპუსი თანდათან წვება

ზაზა ფაჩუაშვილი

*ვაზისუბნის დასახლების N20 კორპუსის შესახებ "24 საათი" უკვე წერდა. ეს არის 16 სართულიანი კორპუსი, რომელსაც სარდაფში ხანგრძლივად ჩამდინარე კანალიზაციის წყალმა ძირი გამოაცალა და კინაღამ დაანგრია.*



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*ამ კორპუსის გადარჩენას 200 ათასი სჭირდება*

16 მაისს, ღამის პირველ საათზე კორპუსი ისე შეირყა, რომ დაფეთებულ ბინადრებს მიწისძვრა ეგონათ და გარეთ გამოვარდნენ. როგორც აღმოჩნდა ერთ ბურჯი ჩატეხილა, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ კომისიას კორპუსი სახიფათოდ გამოეცხადებინა, მერიას კი გასამაგრებელი სამუშაოები სასწრაფოდ დაეწყო.

"ჩვენ კი გამოგვიცხადეს, დროებით ბინები დაცალეთო, მაგრამ უმეტესობას წასასვლელი არსად გვაქვს და ადგილზე ვრჩებით," – ამბობენ მაცხოვრებლები.

თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, ბურჯებს რკინის სარტყელში სვავდნენ, სარდაფს ამშრალებდნენ, მაგრამ კორპუსის გადახრის კუთხე მაინც იზრდებოდა და ბოლოს 39 სანტიმეტრს მიაღწია. ცხადი გახდა, რომ საძირკველში ბეტონის მკვიდრი ბალიშის გარეშე არაფერი გამოვიდოდა. სწორედ ამ დროს გათავდა ფული და გასამაგრებელი სამუშაოების შეწყვეტის საშიშროება შეიქმნა.

ორი დღის წინათ მობინადრეები ზოდელავას შეხვდნენ, რომელმაც ფინანსური პრობლემები დაადასტურა. როგორც აღმოჩნდა კორპუსის გამაგრება მერიის სპაცსახსრებიდან ფინანსდებოდა, მაგრამ რესურსი ამოწურულა. ზოდელავა ხალხს დაპირდა, რომ, როგორც კი რამე თანხა გამოჩნდებოდა, მაშინვე მიაშველებდა.

იმ დღესვე მეცნიერთა წარმომადგენლობითმა კომისიამ კორპუსის მდგომარეობა შეამოწმა. საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსების, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორებისა და პროფესორების ჯგუფმა მთელი კორპუსი აღწერა. სამეცნიერო-საპროექტო-სამშენებლო ცენტრის "მშენაღდგენას" გენერალური დირექტორის, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსის მალხაზ ბედიაშვილის განცხადებით, კორპუსის გადარჩენა შეიძლება მხოლოდ უწყვეტი დაფინანსებისა და ბალიშის სასწრაფოდ გაკეთების შემთხვევაში.

მერე კი საცხოვრებლადაც ივარგებსო, ბრძანა ინჟინერმა.

კორპუსის მაცხოვრებლები (75 ოჯახი) ფეხზე დგანან და უსახლკარობას ყოველნაირად ებრძვიან. თუ უახლოეს მომავალში ფული არ გამოჩნდა (საჭიროა 200 ათასი) ხალხი პრეზიდენტს მიმართავს.

# ასე ცხოვრობენ თამარისელები...

ლელა მარგიანი

*ბოლნისის რაიონის დაბა თამარისი თბილისიდან ერთი საათის სავალზეა. ასე თუ ისე კეთილმოწყობილი რაიონული ცენტრის ფონზე, თამარისელებს ბევრი პრობლემა აწუხებთ.*

თამარისში ადრე ცნობილი "თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკა" არსებობდა, ხალხი დასაქმებული იყო და ნორმალურად ცხოვრობდა. ახლა თამარისში უჭირთ. გაჩერებული და გაძარცვულია ფაბრიკა, გაჭირვებულია მოსახლეობა, მოუვლელია გზები, უიმედოდ უშუქოდ მიტოვებულია სკოლა, სადაც ელექტროზარის მაგივრობას რკინის დიდი ნაჭერი ასრულებს და ისიც სამასწავლებლოში გადაუმალავთ, ჯართში ჩასაბარებლად რომ არ მოიპარონ.

ქალთა ასოციაციის მიერ შეკრებილმა თამარისის მკვიდრმა ქართველმა და აზერბაიჯანელმა ქალებმა ბევრ რამეზე ისაუბრეს: დაიწყეს გლობალურით და დაამთავრეს პირადულით, მათთვის უფრო მტკივნეული საკითხებით. აღნიშნეს, რომ ყველაზე დიდი უბედურება არის უმუშევრობა, ახალგაზრდების დაუსაქმებლობა. გაიხსენეს ის დრო, როდესაც მუშაობდა არა მარტო თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკა, არამედ ბოლნისის "სამკერვალო ფაბრიკაც", სადაც 1600 ქალი იყო დასაქმებული. "ოთხი ავტობუსი გვემსახურებოდა უფასოდ, ახლო-მახლო სოფლებიდანაც მოჰყავდათ მუშები", - იგონებდნენ ქალები.

"უზარმაზარი შემოსავალია კვარციტიდან, მაგრამ ხალხი დაუსაქმებელია. იქ რომ ოქროს მარაგი ამოიწურება, მერე რაღა დაგვრჩება? დაბინძურებული გარემო, შერყეული ჯანმრთელობა", - წუხდნენ შეკრებილები. თუმცა, ისინი იმასაც აღნიშნავდნენ, რომ რაიონული ცენტრი - ბოლნისი, ბოლო წლების მანძილზე მოვლილი და გალამაზებულია, რაც რაიონის გამგებლის დამსახურებაა, 400-მდე მარტოხელა მოხუცს უფასოდ აჭმევენ, გაჭირვებული ბავშვებისთვის არსებობს ცენტრი "მადლი", მაგრამ "სამადლოდ რატომ უნდა გვქონდეს საქმე, როდესაც რაიონს კვარციტიდან ძალიან დიდი შემოსავალი აქვს- 10-11 მილიონი წელიწადში?! ხუთი წლის მანძილზე ერთი წარმოება მაინც აემუშავებინათ?! ასი ადამიანი მაინც დაასაქმონ. კარგია, საგასტროლოდ ანსამბლების გაგზავნა, ფეხბურთის სტადიონების აშენება, რაიონული ცენტრის გალამაზებაც, მაგრამ მშიერი კუჭით იმ ლამაზ ქუჩებში სიარული, ჩვენთვის რა შეღავათია?!" - აინტერესებთ თამარისელებს.

საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, უშუქობას იქაურებიც იტანენ, მაგრამ უწყლობა ძნელი ასატანი ყოფილაო, - ამბობენ. დაბა თამარისში შვიდი მრავალსართულიანი კორპუსია - მაღალ სართულებზე წყალი რამდენიმე წელია არ ადის, თუმცა, გრაფიკით, კვირაში ორჯერ - ორშაბათს და პარასკევს წყალი უნდა ჰქონოდათ. "ქალები გატანჯულები ვართ. ბევრი მრავალშვილიანი დედაა. წარმოიდგინეთ, რა დღეში ვართ?! ღმერთმა გაახაროს აზერბაიჯანელი მოსახლეობა, წყლის საფასურს იხდიან და ჩვენც იმათგან ვეზიდებით წყალს,"- შემოგვჩივლეს წყალს დანატრებულმა თამარისელმა ქალებმა. წლების მანძილზე უწყლოდ ყოფნამ კორპუსებში კანალიზაციაც მოშალა, - "სიბინძურე პირდაპირ სარდაფებში ჩადის" და ზაფხულობით , განსაკუთრებით ცუდ დღეში არიან. სამაგიეროდ, თამარისელებს "წვიმის წყალი" ჰქონიათ უხვად, რადგან შვიდივე კორპუსის სახურავი შესაკეთებელია და წვიმის დროს მათ ბინებშიც ისევე წვიმს, როგორც გარეთ.

ყველანაირ სიკეთესთან ერთად, ინფორმაციის ეპოქაში თამარისელები საინფორმაციო "შიმშილსაც" განიცდიან: ადრე, თამარისში სამხედრო ნაწილის ლოკატორები ახშობდა ქართულ ტელევიზიას, თუმცა მშვენივრად აჩვენებდა სომხურ, აზერბაიჯანულ არხებს; არც თავისუფალ საქართველოში შეცვლილა რამე: მხოლოდ "პირველი" არხი და "იმედი" უჩვენებს, ქართულ რადიოსაც ვერ ისმენენ - სკოლის დირექტორი ჩიოდა, - საგამოცდო თემების რადიოთი მოსმენა ვერ შევძელითო. ხალხისთვის არც პრესა არსებობს - უფულობის გამო, ჟურნალ-გაზეთებს ვერ ყიდულობენ, ერთმანეთისგან თხოულობენ ხოლმე. ასე ნათხოვარი ჟურნალით გაეცნენ თამარისელები პუბლიკაციას მათთან "მონათა ბაზრის" არსებობის შესახებ. ჩვენთან საუბარში ზოგი უარყოფდა - ასეთი არაფერი ხდებაო. ზოგი ქალბატონი შეურაცხყოფილი იყო, - "იმ სტატიით ყველას ჩირქი მოგვეცხო", მაგრამ ისეთებიც იყვნენ, ვინც პრობლემა სწორად შეაფასა, საერთო ტკივილად აღიქვა და მასში "ადამიანის უფლებების დარღვევა" დაინახა.

ჩვენ შუადღისთვის ვესტუმრეთ თამარისს, მაშინ ე.წ. "ბირჟაზე", ხის ჩრდილქვეშ მხოლოდ რამდენიმე უსაქმური ახალგაზრდა იყო, თამარისელი "სტუმარი დაქირავებული ქალები" კი არსად ჩანდნენ. "ისინი დილის შვიდ საათზე გაჰყავთ სამუშაოდ. ასე, 200-მდე ქალი იქნება, ძირითადად - დასავლეთ საქართველოდან. აქ, კორპუსებში ცხოვრობენ: ზოგმა ბინაც იქირავა, ვისაც არ შეუძლია, "პირდაპირ ბეტონზე, ბალახის ტომრებზე ძინავს. დილის შვიდი საათიდან ღამის თერთმეტ საათამდე მუშაობენ კარტოფილის ამოღებაზე, მათ მხოლოდ ერთხელ ასვენებენ და დღიურად 6-დან 10 ლარამდე უხდიან".

შეხვედრის მონაწილე ბოლნისელმა ქალბატონმა გვიამბო: "ამას წინათ თბილისში მივდიოდი. თამარისთან "მარშრუტკაში" დედა და შვილი ამოვიდა, აქაურები არ იყვნენ; მივხვდი, სადაც მუშაობდნენ. გამოველაპარაკე; დედამ მითხრა, - ორი წელი იარა აქ ჩემმა მეზობელმა და იმდენი შეძლო, ზამთრის მარაგი მოაგროვაო. ქმარი მომიკვდა, სხვა გზა არ მქონდა, ბავშვები მულს დავუტოვე და წამოვედი. უფროსმა გოგონამ არ გამომიშვა, ისიც წამომყვა. მაგრამ აქ ისეთი საშინელი პირობებია, არ შემიძლია და უკან ვბრუნდები".

თურმე, თამარისში "ქართველები, ვინც შეძლო მიწის შეძენა, თავად არ ამუშავებენ მიწას. მიაქირავებენ აზერბაიჯანლებს - ჰექტარზე 600 დოლარია "ტაქსა", ისინი კი დასავლეთიდან ჩამოსულ ქალებს ამუშავებენ". ბევრმა ქართველმა გლეხმა, გაჭირვების გამო, გაყიდა მიწა. "მთავრობამ თავის დროზე მიწები კი დაგვირიგა, მაგრამ ტექნიკა აღარ არსებობდა, მიწა რითი უნდა დაგვემუშავებინა?! სახელმწიფოს ბრალია, თუ ჩვენი ქართული დაუდევრობის, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, აზერბაიჯანულ სოფლებში არც კლუბები და მაღაზიები დაუნგრევიათ, არც ტექნიკა გაუძარცვავთ?! ჩვენთან კი ყველაფერი მოსპეს", - ამბობდნენ თამარისელები.

ასე ცხოვრობენ თამარისელები. ხუთი წელია, დაბას ტრაფარეტიც კი არ აქვს - უმისამართოდ ცხოვრობენ. "წითელ ჯვარს" უნდა მოეტანა ჩვენთვის დახმარება და ვერ გვიპოვეს - კინაღამ თბილისში გაბრუნდნენ", - გვითხრეს თამარისელებმა.

თამარისელ ქალებს იმედი აქვთ, რომ საარჩევნოდ მაინც მიხედავენ, გადაუხურავენ სახლებს, წყალს გრაფიკით მაინც მიაწვდიან და ბოლნისი-თბილისის ტრასაზე მათ გადასახვევს ტრაფარეტსაც აღირსებენ. იქნებ ის 200-მდე სტუმარი ქალიც დაუბრუნდეს თავიანთ სახლებს, ზოგიერთი ადგილობრივი ქალის "ოჯახურ იდილიას" ბზარი რომ გაუჩინეს; იქნებ ხალხსაც მიხედონ და დაასაქმონ - არჩევნებისთვის ხომ მაინც დასჭირდებათ თამარისელების 300 რეგისტრირებული და 600 "არარეგისტრირებული" ხმა?!

# ფესტივალის ფოლკრაუნდი

ვერა ნეფარიძე

*ღამის კლუბ "16 რაუნდში" საზაფხულო ფესტივალი "საუკუნე 20 დღეში" გრძელდება. პარასკევს ფესტივალის მორიგი, რიგით მერვე საღამო ფოლკლორს დაეთმო. "ეთნო-ფოლკ ფართი" კლუბში მოწვეულ მუსიკოსებთან ერთად, მადი სერებრიაკოვასა და ჯგუფის "ჩვენ" მონაწილეობით გაიმართა.*



მადი სერებრიაკოვა ფოლკთეკაზე

თუკი ორიოდე თვის წინათ ზანდუკელზე "კლუბ 22"-ში გამართულ კონცერტს (რომელსაც ძირითადად, კლუბის მუდმივი სტუმრები და მუსიკოსთა ახლობლების ვიწრო წრე დაესწრო) არ ჩავთვლით, ჯგუფის "ჩვენ" და მადი სერებრიაკოვას თანამშრომლობის დებიუტი, სწორედ "16 რაუნდში" მოხდა. უნდა ვთქვა, რომ თანამშრომლობის მცირედი გამოცდილების მიუხედავად, ამ შემოქმედებითმა ტანდემმა უკვე მოასწრო შეეძინა თაყვანისმცემლები (აქ ნათესავ-მეგობრებს არ ვგულისხმობ). ალბათ, არც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ ფოლკის თანამედროვე ინტერპრეტაციით ჯერჯერობით, ძირითადად, უცხოელები მოიხიბლნენ. ისინი მუსიკოსებს "16 რაუნდშიც" გულშემატკივრობდნენ. "16 რაუნდში" შეკრებილი საზოგადოებისთვის შედარებით ახალი სახელები იყო ჯგუფის "ჩვენ" მოწვეული სტუმრები: ზვიად ბოლქვაძე და ვაჟა ტულუში. დანარჩენი მუსიკოსები კი ბათუმური ჯგუფის ძირითადი წევრები იყვნენ.

საღამო, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო იყო ამ ფესტივალის ღონისძიებებს შორის. რასაც თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. პირველ რიგში, საღამოს წარმატების მიზეზი სწორად შერჩეული მუსიკოსებია. საერთოდ, ამ ფესტივალის თითოეული ღონისძიება, სახელწოდებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საკმაოდ საინტერესო ჩანს. მაგრამ ეს ერთი შეხედვით. მაგალითად, საკმაოდ მომხიბლავად გამოიყურება დაგეგმილი ღონისძიებები, კერძოდ კი: ეისიდ-ჯაზის, დრამ-ენდ-ბეისისა თუ დისკოს "ფართები", მაგრამ, ვინაიდან ამ ფესტივალის ძირითადი პრინციპია ცოცხალი შესრულების პოპულარიზაცია, ძალიან საინტერესოა როგორ გაართმევენ თავს ქართველი მუსიკოსები მეოცე საუკუნის მუსიკალური სტილების ხიბლის შენარჩუნებასა თუ სწორად მოწოდებას. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ მე პირადად, ქართულ სცენაზე ცოცხლად შესრულებული ეისიდ-ჯაზი არ მომისმენია... დაველოდოთ, იქნება ამ ფესტივალის ერთ-ერთი მიზანი ახალი სახეების წარმოჩენაცაა. რაც შეეხება თანამედროვე ქართველი მუსიკოსების ფოლკლორით დაინტერესებას, აქ საქმე ოდნავ სხვაგვარადაა.



მადი და ჯგუფი "ჩვენ"

არც თუ დიდი ხნის წინათ საკუთარი მუსიკის ფოლკლორული თემებით გაჯერება ჩვენს მუსიკოსებს სენივით მოედო. დღესაც იქმნება საესტრადო სიმღერები (მათი ხარისხი სხვა სტატიის თემაა), სადაც მათი ავტორები ცდილობენ თავისებურად გააცოცხლონ სხვადასხვა ეთნიკური მოტივები. მაგრამ, ამ ხნის განმავლობაში, ძირითადად, გამოიკვეთა მუსიკოსების წრე, ვისაც ასეთი შემოქმედებითი ექსპერიმენტები მეტ-ნაკლები წარმატებით გამოსდის. ბათუმური ჯგუფიც "ჩვენ" ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც ცდილობდა ქართულ მუსიკალურ თემაზე დაემყარებინა თავისი რეპერტუარი. დღეს ეს ჯგუფი ცოტა სახეშეცვლილია. ჯგუფის პირვანდელი შემადგენლობიდან დარჩენილია სამი წევრი (ლაშა და ნიკა აბაშმაძეები, ამირან დიასამიძე). სამაგიეროდ, ჯგუფი "შევსებულია" მოწვეული მუსიკოსებით. მუსიკოსთა შემადგენლობის გადახალისებამ ჯგუფის შემოქმედებაში მცირეოდენი ცვლილებები გამოიწვია. მადი სერებრიაკოვას სახით ახალი ვოკალისტის გამოჩენამ, პირველ რიგში, კოლექტივის ფოლკ-როკისადმი დაინტერესება უფრო თვალსაჩინო გახადა. ორივე მათგანის (როგორც ჯგუფის, ასევე მადის) რეპერტუარის გაერთიანების შედეგად კი მივიღეთ საკმაოდ საინტერესო საკონცერტო პროგრამა. მსმენელი ამ პროგრამიდან ძალიან კარგად იცნობს სიმღერებს პროექტიდან "სამება", თუმცა "ჩვენის" ინსტრუმენტული ინტერპრეტაცია ოდნავ გასნხვავებული იყო სტუდიური ჩანაწერისგან. კონცერტზე ჯერჯერობით მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან ჯგუფისა და მადი სერებრიაკოვას რეპერტუარი. ალბათ, არ ვიქნები გამონაკლისი, თუკი ვიტყვი, რომ მსმენელის სიმპათიებს სწორედ ეს უკანასკნელი იმსახურებდა. საერთო ჯამში კი შეიძლება ითქვას, რომ კარგი ინსტრუმენტალისტებისა და ვოკალისტის თანამშრომლობა სამომავლოდ უკეთეს პერსპექტივებს იმსახურებს.

რაც შეეხება ფესტივალს "საუკუნე ოც დღეში", ის აგვისტოს პირველ ნახევრამდე გრძელდება. ამ ფესტივალის პარალელურად კი კვირაობით იმართება "16 რაუნდის" მენეჯმენტისა და ვანიკო თარხნიშვილის მეორე პროექტი. ამ პროექტის პროგრამის მიხედვით, დღეს "16 რაუნდში" ჯაზის საღამოა, რომელსაც ცნობილი მუსიკოსი თამაზ ყურაშვილი საკუთარ ჯგუფთან ერთად მოამზადებს.

# "საქართველოში იბადებოდნენ" პატარა მკითხველებისთვის

ნანა ბასილაშვილი

მაღაზია "პარნასში" გუშინ კიდევ ერთი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. ახალი ნაშრომის საჯარო წარდგენამ შედარებით მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. ლინა ბარათაშვილის "საქართველოში იბადებოდნენ" პატარა მკითხველისთვისაა გათვალისწინებული. თუმცა, ამ წიგნის წაკითხვა, ვფიქრობ, შედარებით უფროსი თაობის წარმომადგენლებისთვისაც არ იქნება ზედმეტი.

პროფესიით ჟურნალისტის, ლინა ბარათაშვილის ლექსებს მკითხველი წლების განმავლობაში სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში ეცნობა. დღესდღეობით, იგი უკვე რამოდენიმე პოეტური კრებულის ავტორია. ამას გარდა ლინა ბარათაშვილი ერთი ცნობილი წიგნის "მზითვის წიგნითაა" ცნობილი.

"ჩემო პატარა ქართველო! წიგნი, რომელსაც შენ გიძღვნი, საქართველოს, მშობელი ერის სიყვარულითაა შთაგონებული... ქართული საქმე რომ აკეთო, კარგად უნდა იცოდე სამშობლო-ქვეყნის, შენი ერის წარსული" – წერს წინასიტყვაობაში ლინა ბარათაშვილი. "ქართლის ცხოვრებისა" და სხვა ისტორიულ ძეგლებში აღწერილი დოკუმენტური მოვლენები, ავტორს მხატვრულად და გასაგები ენით აქვს გადმოცემული. მისი უშუალო მიმართვები მკითხველთან ყოველივე ამას კიდევ უფრო ამარტივებს.

ფარნავაზ პირველი, ვახტანგ გორგასალი, მეფე დემეტრე, დავითი, თამარი, საქართველოს თითქმის ყველა მეფესა და გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს (ილია, აკაკი, ექვთიმე თაყაიშვილი, იაკობ გოგებაშვილი და ა.შ.) - თითოეული მათგანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, წიგნში რამდენიმე გვერდი ეთმობა. თხრობის დროს ავტორი პროზასა და პოეზიასაც იშველიებს, პარალელებს ავლებს თანამედროვე ყოფასთან.

"წიგნის ავ-კარგზე ალბათ მკითხველი იტყვის, მაგრამ ჩემი მხრიდან მინდა აღვნიშნო, რომ იგი ჩემი ქვეყნისა და ერის დიდმა სიყვარულმა დამაწერინა. ეს წიგნი ისტორიულია, თუმცა, შევეცადე საქართველოს ისტორია ჩემებური ხედვით გადმომეწერა. ჩვენი დიდებული წარსული მორალს, ზნეობას, ლიტერატურასა და დღევანდელობას დავუკავშირე. ძალიან ბევრი ღირებულების ახლებურად გადაფასება მოხდა, წიგნის თემატიკაც სწორედ დღევანდელმა ვითარებამ მაფიქრებინა", - ვიდრე ლინა ბარათაშვილი მისი მკითხველებისათვის ავტოგრაფების დარიგებას შეუდგებოდა, დრო ვიხელთე და გავესაუბრე.

ლინა ბარათაშვილის ნაშრომს "საქართველოში იბადებოდნენ" განათლების სამინისტრომ გრიფი მიანიჭა.



ლინა ბარათაშვილი ავტოგრაფებს არიგებს

მომავალი წლიდან საშუალო სკოლებში მე-9-მე-11 კლასელთათვის ეს წიგნი საქართველოს ისტორიის დამხამრე სახელმძღვანელო იქნება.

სამომავლოდ ლინა ბარათაშვილი "მზითვის წიგნის" ხელახალ გამოცემას (პირველი გამოცემა მთლიანად რეალიზებულია) გეგმავს, ამავე დროს, იგი თავის ერთგულ მკითხველს კიდევ ერთ პოეტურ კრებულს უმზადებს.

# ტრუსარდის წყევლა

"კონფინდუსტრიის" შენობაში იტალიური ბიზნესის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები შეიკრიბნენ - ამ დღეს მარიზა ბელიზარიოს სახელობის პრემიის, "წლის მენეჯერის" გადაცემის ცერემონია იყო დაგეგმილი. გამარჯვებულიც გამოცხადდა. ის ყველაზე ახალგაზრდა ნომინანტი, ბეატრიჩე ტრუსარდი იყო. საზოგადოება დაძაბული ელოდა მის სიტყვას, რადგან მანამდე, რამდენიმე თვის განმავლობაში, ძალიან აინტერესებდა, შეძლებდა თუ არა ბეატრიჩე იმ საქმის გაძღოლას, რომელიც მამისა და ძმის დაღუპვის შემდეგ მისი სამართავი გახდა.

ელეგანტურმა ქერა ლამაზმანმა გრძელი სამადლობელი სიტყვის ნაცვლად ლაკონური "გრაცია" ბრძანა და დარბაზი დატოვა. არცაა გასაკვირი – იმის შემდეგ, რაც მისი ოჯახის თავს დატრიალდა, ის აღარც ინტერვიუებს იძლეოდა და არც მაღალი საზოგადოებების წვეულებებს ესწრებოდა: ბეატრიჩეს ძალიან მობეზრდა ტრუსარდის ოჯახის წყევლის შესახებ საუბარი.

ამ წყევლის შესახებ ნახევარი წლის წინათ ალაპარაკდნენ, როცა ბეატრიჩეს უმცროსი ძმა, ფრანჩესკო, ავტოკატასტროფაში დაიღუპა, ისევე, როგორც მამამისი, ტრუსარდების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, ნიკოლო. ოღონდ ნიკოლო დალეწილი "მერსედესიდან" გამოიყვანეს, ფრანჩესკო – "ფერარიდან".

ნიკოლოს გარდაცვალებამდე, ანუ 1999 წლის აპრილამდე, ტრუსარდების ოჯახს ჩინებულად მისდიოდა საქმე. მოდის სახლის და ტრუსარდების დამაარსებელი, დანტე ტრუსარდი, გასული საუკუნის დასაწყისში ბერგამოში ცხოვრობდა და ხელთათმანებს კერავდა, თან ისეთი წარმატებით, რომ სულ მალე საკუთარი ფირმაც დააარსა. ფირმა ყოველთვის შესანიშნავად მუშაობდა, მაგრამ მსოფლიო აღიარება მხოლოდ ხელთათმანების ოსტატ დანტეს შვილიშვილმა, ნიკოლომ მოუტანა, რომელსაც ბრწყინვალე ეკონომიკური განათლება ჰქონდა მიღებული და ჭეშმარიტი ხელოვანი და გამჭრიახი ბიზნესმენი იყო. მისი წყალობით ტრუსარდის მოდის სახლი მთელმა მსოფლიომ გაიცნო.




"ტრუსარდის" რეკლამა

ოჯახური ბიზნესის ტრადიციის თანახმად, ნიკოლომ უმაღლესი ხარისხის ტყავის ნაწარმის წარმოება განაგრძო. "ტყავი ჩვენს ვნებად, მუდმივ ტრადიციად რჩება..." ამბობდა ნიკოლო.

70-იანი წლების დასაწყისში ტრუსარდიმ ახალი ნაკეთობების ხაზი ჩამოაყალიბა. ნიკოლო ხშირად იმეორებდა ხოლმე: "მე ჩემს ინსტინქტს ვუგდებ ყურს, მაგრამ არც ჯანსაღ აზრს ვივიწყებ. ამ ორ ელემენტს შორის ბალანსის შესანარჩუნებლად საუკეთესო ყნოსვა უნდა გქონდეს". ყნოსვა მას აშკარად არ ღალატობდა, და მისი მოდის სახლის სიმბოლოც მწევარი იყო. "ამ ცხოველის გამოსახულებით მრავალი ნახატი და ეგვიპტური ბარელიეფი მაქვს ნანახი, და მისმა სილამაზემ და არნახულმა ელეგანტურობამ ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა". გარდა ამისა, მწევარი დინამიკისა და უწყვეტი მოძრაობის სიმბოლოა, რაც თავად ტრუსარდის ყოველთვის ახასიათებდა.

მწევარი მის მიერ წარმოებულ ჩემოდნებსა და რბილი ტყავის ნაწარმს ამშვენებდა. სწორედ ნიკოლომ შექმნა მრავალი ფუნქციის მქონე ჩანთები და ზურგჩანთები, რომლებშიც, პირადი ნივთების გარდა, კომპიუტერი, ტელეფონი, დისკეტები და საბუთები ეტეოდა. "სავსებით გავამართლე ლათინური გამონათქვამი – ყველაფერი თანა მაქვს".

ნიკოლო ქალების, მამაკაცებისა და ბავშვებისთვის ტანსაცმელს აწარმოებდა, ავეჯით, ველოსიპედებითა და იახტებით იყო გატაცებული, კომპანია Alitalia-ას თვითმფრინავების ინტერიერიც კი შექმნა. ამას მოჰყვა სუნამოები, საყოფაცხოვრებო საგნები...

გარდა ამისა, ნიკოლო ტრუსარდი უდიდეს რეჟისორებთან თანამშრომლობდა, საბალეტო დადგმებში და დიდ თეატრალურ პროექტებში მონაწილეობდა. 1987 წელს მისი ღვაწლი განსაკუთრებით საპატიო ჯილდოთი იყო აღნიშნული – იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ის დიდი ჯვრის კავალრად გამოაცხადა.

1999 წლის 12 აპრილს, მილანსა და ბერგამოს შორის, იაპონიიდან ჩამოსული ნიკოლო ტრუსარდის მანქანა გალავანს შეასკდა. ნიკოლო 56 წლისა იყო...

ტრუსარდის იმპერიის განმგებლები ოცდახუთი წლის ფრანჩესკო და ოცდაშვიდი წლის ბეატრიჩე გახდნენ. ნიკოლოს თამამად შეეძლო, თავისი შვილებით ეამაყა – მათ საუკეთესო კოლექციებით განაგრძეს მამის საქმე.

და-ძმა 2003-2004 წლის ზამთრის კოლექციაზე მუშაობდა, როცა ფრანჩესკო თავისი "ფერარით" ელექტრობოძს შეასკდა და დაიღუპა. უცნაურია: ის ძალიან ჰგავდა თავის დიდებულ მამას, გარეგნობითაც და ბედითაც.

ბეატრიჩე მარტო დარჩა და მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ტრუსარდების მწევარს ვერაფერი შეაჩერებს: ზაფხულში დეფილემ ბრწყინვალედ ჩაიარა. ერთი ისაა, რომ ტრუსარდების ღირსეული წარმომადგენელი არც პოდიუმზე გამოსულა და არც ინტერვიუები მიუცია – მას არც სიბრალული სჭირდება, და არც "ტრუსარდების წყევლაზე" საუბარი...

# გრაფიკა აღმოსავლური თემატიკით



სოფო ვარაზის კოლაჟები

თეონა ჭაფარიძე

სულ ცოტა ხანში საგამოფენო სეზონი დაიხურება. თბილისის გალერეები ბოლო გამოფენებს გვთავაზობენ. შარდენის ქუჩაზე ბაიას გალერეა "არტ-ორიენტმა" გადატვირთული სეზონის შემდეგ თავისი სივრცე სოფო ვარაზის ნამუშევრებს დაუთმო.

გვარი ვარაზი სამხატვრო წრეებში 70-იან წლებს, ნოვატორობას, თავისუფლებასა და ერთი სიტყვით, ქართველ ლეგენდარულ მხატვარს ავთო ვარაზს უკავშირდება. სოფო ვარაზის მხატვრობა თავისი დიდი ბიძის ცნობილი კოლაჟების პოპ-არტებისა და პორტრეტების არანაირ ზეგავლენას არ განიცდის. პირიქით, "არტ-ორიენტში" სალონური სიმშვიდეა დასადგურებული. გალერეის კედლებზე ტუშით შესრულებული ფიგურატული კომპოზიციები ჰკიდია აღმოსავლური თემატიკით, რომლებიც ერთი შეხედვით, წიგნის ილუსტრაციებს მოგაგონებთ: "ბავშვობაში დიკენსი რომ წავიკითხე და პირველი ტუში და კალამი მაჩუქეს, სწორედ მას შემდეგ დავიწყე ასეთი ილუსტრაციული მანერით მუშაობა", - ამბობს მხატვარი. ეს მეტად შრომატევადი კომპოზიციებია. უამრავი მინიატურული დეტალის შესრულების პროცესში მას თურმე აუცილებლად რადიო აქვს ჩართული და ისე ქმნის მათ. ფერწერა არასდროს გაუკეთებია, მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლაძის სასწავლებელში სწორედ ამ ჟანრს დაეუფლა. სამხატვრო აკადემიაში კი მოდელიერების ფაკულტეტზე სწავლის მიუხედავად, მას არცერთი კოსტუმი და კოლექცია არ შეუქმნია. სამაგიეროდ ბაიას გალერეა "არტ-ორიენტში" დამთვალიერებელს მის მიერ შესრულებული მეტად ეგზოტიკური კოსტუმების ესკიზების ნახვა შეუძლიათ, რომლებიც მე-16 საუკუნის ესპანეთსა და ძველ სპარსეთში გამოგზაურებთ. ეს სოფო ვარაზის სამყაროა.

თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი
THE SOCIAL-ECONOMIC INSTITUTE OF TBILISI

2003-2004 სასწავლო წლისათვის ინსტიტუტი საბუთებს მიიღებს ქართულ და რუსულ სექტორებზე შემდეგ ფაკულტეტებზე და სპეციალობებზე:

1. იურიდიული (სამართალმცოდნეობა);
2. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები;
3. ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე;
4. ისტორია ([illegible]);
5. ქართული ენა და ლიტერატურა;
6. ინგლისური ენა;
7. გერმანული ენა.

სწავლის ხანგრძლივობა 5 წელია.

[illegible]

აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება (შევსება ადგილზე);
2. განათლების დოკუმენტი;
3. ხუთი ფოტოსურათი (ზომით 3X4).

ინსტიტუტის მისამართია: [illegible]

ტელ: 99-96-88; 899-51-80-84.


გაზეთი 24 საათი

უფასო განცხადებების ქვითარი

[illegible]

29.06.03 N-176

## აფიშა

### თეატრები

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**

პეტრე ჩაიკოვსკი "გედების ტბა", ბალეტი ოთხ მოქმედებად

დირიჟორი თამაზ ჯაფარიძე

დას: 19:00 სთ

**თავისუფალი თეატრი**

"ჯინსების თაობა (დაგვიანებული რეკვიემი)", რეჟ. დათო დოიაშვილი

დას: 19:00 სთ; ფასი 3,7,10 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**ძველი გალერეა**

თეა ბოტკოველის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**TMS**

დავით ყიფიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა

**„ქარვასლა„**

პოლონური პლაკატის გამოფენა

**„ქართული TEX-სტილი„**

თინა კლდიაშვილისა და დავით მონავარდისაშვილის ნამუშევრების გამოფენა

**ბაიას გალერეა „არტ-ორიენტი„**

სოფო ვარაზის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი„**

"ფან ფან ტულპანი"

დას: 13:00; 17:00; 22:00 სთ; ფასი 6-8

"ჰალკი"

დას: 15:00; 19:30; სთ; ფასი 6-8 ლარი

**„ელისო"**

"დიდი ძარცვა"

დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი

"ზემოდან ხედი უკეთესია"

დას: 17:00; 21:00 სთ; ფასი 5,7 ლარი

## TV პროგრამა 29 ივნისი

### რუსთავი - 2

08.00 კლასიკა
09.00 კურიერი
09.20 დრაკონთა მომთვინიერებლები
10.00 ჯადოქარი
10.45 „ოქროს ვარდის გამოქვაბული"
12.00, 15.00 კურიერი
12.20 სიმფსონები
12.50 მხ.ფილმი
15.20 მხ. ფილმი
16.50 2003 წლის უიმბილდონის ყოველდღიური მიმოხილვა
17.10 სერიალი „კოლომბო"
18.00, 02.00 კურიერი
18.20 სერიალი „კოლომბო"
19.00 მხ. ფილმი
21.00 კურიერი
21.45 ჩვენი ეზო
22.00 „ჯეოსელის კინოკლუბი" - „ხელები მაღლა" 877 45-79-25 ჯეიმს სპეიდერი, ლესლი სტეფანსონი,„მორიდებული ვარ, მაგრამ ვმკურნალობ" 877 45-79-26, პიერ რიშარი, „კლდე" 877 45-79-27 შონ კონერი, ნიკოლას კეიჯი.
00.10 ჯაზი
01.00 2003 წლის უიმბილდონის ყოველდღიური მიმოხილვა
02.15 მხ. ფ. „საშიში ქალი" მთ. რ-ში დებორა უინგერი.
04.15 კლასიკა.

### პირველი არხი

08.00 მოამბე
08.15 ზოოპარკი
08.25 მხ. ფილმი „ვერცხლისფერი ულაყი"
10.00 „დილის პაემანი"
11.05 „ამბები ჩვენზე"
11.30 მოგზაურობა სასიტყვეთში
12.00 დოკ. ფილმი „კაცი, რომელმაც თავისი ცირკი შექმნა"
12.55 „პრეს-სტუდია"
13.45 დოკ. ფილმი „ავანტიურისტი მედიკოსები"
14.10 ზღვარი
14.25 არათბილისური ამბები
15.00 საინფორ. პროგრამა ინგლისურ ენაზე
15.20 სპექტაკლი „ჰაკი აძბა"
16.55 მულტსერიალი „ჯაშუშები"
17.20 საკვირაო გამოფენა
17.35 ეძიე ქალი
18.00 ტაიმ-აუტი.
18.20 „სახსოვარი"
18.50 ეკოდაიჯესტი
19.25 ჩვენი მისამართია
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 მუსიკალური ოქტაგონი
21.45 სატ. კინოდარბაზი - „სინას მთა"
22.45 „შორეული ახლობელი"
23.25 მეალომანია
00.00 ტაიმ-აუტი
00.35 მხ. ფილმი „მე შენ გკარგავ".

### პირველი სტერეო

09.00 მუსიკა
10.00 ტოროლა
13.00 ფილმი
15.00 მუსიკა
16.00 ფილმი „შანხაის შუადღე" მთ. რ-ში ჯეკი ჩანი.
18.00, 19.15 ქართული მუსიკა
19.00, 20.00, 21.00,
22.00 ინფორმატორი
19.30, 20.15 ვიდეორადიო
21.15 უცხ. მუსათეული
22.30 პროფათეული
22.55 მუსიკა
23.15 სოლო
00.00 „ბრავო" „საათები" მთ.რ-ში ნიკოლ კიდმანი, მერილ სტრიპი.
01.40 „ღამურა" „მადონა" მთ.რ-ში მადონა, ადრიანო ჯანინი.
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი
19.30 დიზაინი
19.50 მრავალსახეობა
20.30 ფრაგმენტები სურათიდან
21.00 დოკ. ფილმი
21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 მხ. ფილმი „უზენაესი სიმართლე"

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „არც ცოცხალი, არც მკვდარი"
13.30 მხ. ფილმი „ლამაზმანი ჯო"
15.00 მხ. ფილმი „უკეთესად არ არსებობს"
17.00 მხ. ფილმი „ლამაზმანი"
19.00 ინდ. მხ. ფილმი
22.00 მხ. ფილმი „საცდელი დღე"
00.10 მხ. ფილმი „მოჩვენება".

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი 08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა 08.30 ახალი ამბები 09.00 მხ. ფილმი „მოქცევის მბრძანებელი" 10.20 მულტფილმი 12.30 გადაცემა - მურადა (განმ.) 13.00 მუსიკალურ ტალღაზე 15.00 ქიმერიონი 17.00 ბალეტი 19.30 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი „სკუბი დუ" 22.00 ტელე-სინევიდეო 23.00 სერიალი „საჰაერო პოლიცია" 23.50 მხ. ფილმი „ბინძური პატარა საიდუმლო" 01.00 ღამის ფილმი

### მეცხრე არხი

09.30 მულტფილმი „მხიარული მელოდიები" 09.50, 19.15, 20.15, 22.15, 00.20 მუსიკა
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"
10.25 მულტსერიალი „სიმბა მეფე ლომი"
11.00 „საუბრები სტუდიაში"
12.00 „ცხელი ცხრიანი"
12.50 მხ. ფილმი „ბურატინოს თავგადასავალი"
15.05 „ტელემეტრი"
15.20 დოკ. ფილმი „კანი. 400 დარტყმა"
16.55 მხ. ფილმი „მეჯლისი"
19.00 „ბელისიმო" შოთა კიკნაძე
19.30 „მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 „ოსტატები"
20.15 „ჩემი ქვეყანა"
20.40 რუს. სერიალი „რუსი ამორძალები" მე-2 ს.
22.00 მარიონეტების ფილმი „ყოჩაღები". „ძარცვა"
22.30 მხ. ფილმი „ძმაკაცები"
00.05 ნინო ქათამაძის კონცერტი
01.00 მხ. ფილმი „მთვარის შუქის გადასახადი".

### იმედი

08.55 ქრონიკა
09.05, 15.15, 02.25 იმედის მელოდიები
10.20 ანიმაციური სერიალი „მითიური მებობრები"
10.50 მძაფრსიუჟეტიანი კინო „ჩუბინი"
12.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი"
13.00, 15.00, 16.45, 19.00, 21.00, 22.00 ქრონიკა
13.15 სერიალი „უკიდურესი ზღვარი"
13.40 თამაში „ბოიარის ციხესიმაგრე"
14.30 სპორტ. პროგრამა „ასი"
15.15 ქართ. ფილმი „ხარება და გოგია"
17.00 ევროპის ჩემპიონატი - საკვალ. ტურნირი - შვიდკაცა რაგბიში (პირდაპირი ტრანსლაცია)
21.05 ქართ. სერიალი „მგლების ხორუმი"
22.45 „მუღამები"
23.10 ჩ-კლუზივი
23.40 მხ. ფილმი „კრიმინალური ნიჭი".

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 მულტფილმი „ტომი და ჯერი"
09.45 „ყველანი ვართ პატარები"
09.55 ისტორიული ფილმი „დაკები"
11.30 Слово
12.10 „სამყარო მშვენიერია." ბავშვები და ხელოვნება
12.15 თრილერი „წყალქვეშა ნავი-მოჩვენება"
14.00 მუსიკა
14.10 კომედია „წმინდანი"
16.10 „სამყარო მშვენიერია." ბავშვები და ხელოვნება
16.20 მულტფილმი „ლედი და მაწანწალა"
17.30 სათავგადასავლო ფილმი „ზვიგენები-2"
19.20 დოკუმენტური ფილმი
20.10 კომედია „ბევრნი"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს"
22.20, 00.20 „Новости в воскресенье"
22.40 „Величественное наследие"
23.00 დოკუმენტური ფილმი
00.40, 03.20 მუსიკა
01.10 კომედია „მკურნალი ადამსი"
03.30 დრამა „ამისტადი"

### VII არხი

17.00 ფორმულა-1. საფრანგეთის გრან-პრი
18.50 კომპიუტერული თამაშები
19.00 „აჩიკუდა"
19.20 მობილურები
20.10 „ლა-ლა-ლა"
20.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
21.20 ავტოტრეკინგი
22.05 კომპიუტერული ტექნიკა
22.45 „კინოკლუბი „ - „ზვავი" სათავგადასავლო. როლებში: ტომას იან გრიფიტი, სი ტომას ჰაუელი
00.15 აუდიო-ვიდეო-ტელე

### ОРТ

07.10 Сериал „Китайский связной"
08.00, 11.00, 15.00 Новости
08.10 Сериал „Приключения Геркулеса"
09.00 Сериал „Твинисы"
09.20 „Армейский магазин"
09.50 Дисней-клуб: „Легенда о Тарзане"
10.10 „В мире животных"
11.10 „Непутевые заметки"
11.30 „Пока все дома"
12.05 „Дог-шоу".
12.50 „Крылья"
13.20 „Клуб путешественников"
14.05 „Умницы и умники"
14.35 Дисней-клуб: „Мышиный дом"
15.10 „Властелин вкуса"
16.10 „Кумиры". В. Ливанов
16.40 Док.фильм „Самый секретный полигон Америки"
17.30 „Ералаш"
17.55 Док.сериал „Живая природа"
19.00 „Времена"
20.10 „Смешные люди"
22.00 „Театр кукол с М.Леонтьевым"
22.30 Боевик „Антикиллер"
00.30 Церемония закрытия XXV Московского межд.кинофестиваля
01.30 Худ.фильм „Буч Кэссиди и Санденс Кид"

### РТР

07.00 Худ.фильм „Старая, старая сказка"
08.35 Мультсериал „Джеки Чан"
09.20 „Русское лото"
10.05 „ТВ Бинго-шоу"
10.35 Местное время. Вести - Москва. Неделя в городе
11.15 „Утренний разговор"
11.45 „Городок". Дайджест
12.20 Комедия „Самый дурацкий корабль в армии"
14.00 „Вокруг света"
15.00 Вести
15.20 „Мир на грани"
15.50 „Комната смеха"
16.55 Чемпионат мира по автогонкам „Формула-1". Гран-При Европы
19.00 Худ.фильм „Эйр Америка"
21.00 Вести недели
22.10 Комедия „Шестой элемент"
00.05 Драма „Фотография Клэр"
02.00 Детектив „Творческий кризис"
03.55 Сериал „Семь дней"

### НТВ

07.15 Худ.фильм „Внимание! Всем постам..."
08.35 Худ.фильм „Полундра!"
09.00, 13.00, 17.00, „Сегодня"
09.20 Сериал „Голубое дерево"
10.40 Лотерея „Шар удачи"
11.10 Сериал „Любовь вдовца"
12.05 „Вы будете смеяться!"
12.15 „Растительная жизнь". А.Апина
12.50 Играем в „Кено"
13.15 „Влияние"
14.00 Худ.фильм „Шестой"
15.50 „Вкусные истории"
16.05 „Своя игра"
17.20 „Истории охотника за крокодилами. Остров Фрезер"
17.50 Ток-шоу „Принцип „Домино". „Как стать богатым?"
18.55 Боевик „Кикбоксер 2"
20.50 Боевик „Агент национальной безопасности"
22.00 „Намедни"
23.30 Триллер „Имитатор"

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*


## ბინები

### იყიდება

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

**იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის 25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74**

**იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38**

**იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.**

**იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38**

**განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.**

იყიდება 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით. ვერცხლის ქ.50. ტელ: 98-61-12

**იყიდება!**

**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.**

**ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება 3-სართულიანი სახლი ფ/ 330კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი 600კვ.მ., ბ/ა-ით მ. "სამგორთან" 300 მეტრში. ტელ: 77-65-95. ფასი: 50000$

იყიდება ოროთახიანი ბინა, ორსართულიანი სახლის მე-2 სართულზე (31 კვ.მ., 14 კვ.მ) სარდაფით 28 კვ.მ, ტელეფონით. ვარციხის 19. ვორონცოვის მოედანთან. ფასი 8000$. 52-24-40 ნინო.

## ბინები

### ქირა, გირაო

ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39-74-56 მამუკა.

ქირავდება!

სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.

ქირავდება! 3-ოთახიანი, კეთილმოწყობილი ბინა ავეჯით. ფასი 200$. უზნაძის 53. ტელ: 95-40-23 ნანა.

ქირავდება 4-ოთახიანი 125 კვ.მ ფართის ბინა, სათავსოებით, ცხელი წყლით, მუდმივი დენით, ბ/ა-ით ბარათაშვილის N12-ში 7(7), მუშაობს ლიფტი. ტელ: 99-74-83, 99-93-62. 19.00 სთ-ის შემდეგ.

ვაქირავებ ფართს კომერციული საქმინობისათვის. გამომეხმაურონ პარიკმახერების და მანიკურის სპეციალისტები სალონისთვის. ტელ: 34-25-22, 899 963379 მარინა.

## კომერც. ფართი

ქირავდება 45 კვ.მ საოფისე კეთილმოწყობილი ფართი, ცხელი წყლით, ტელეფონით, მუდმივი დენით ლეონიძის ქ. N8-ში (ყოფილი კიროვის). ტელ: 99-74-83, 99-93-62.
19.00 სთ-ის შემდეგ.

## მანქანები

**სასწრაფოდ! იყიდება BMW-728 1998 წლის. ტელევიზორი, კლიმატკონტროლი, პროგრამული სავარძლები, სანავიგაციო სისტემა, პარკტრონიკები. ფასი: 13 500$ ტელ: 899 182227**

## სწავლება

ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.

## სხვადასხვა

კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე. ტელ: 899 584855












რაგბი

# საქართველო "საქართველოს შვიდკაცას" ნახევარფინალშია

პაატა თოთაძე

"ლოკომოტივის" სტადიონზე სამი საათისთვის მისულმა ტრიბუნაზე ასვლა, დაახლოებით, ერთი საათის შემდეგ მოვახერხე. ხალხის სიმრავლე და რიგში დგომა არაფერ შუაშია - შესასვლელში მდგარმა სამართალდამცველებმა აკრედიტაციის ბარათზე ვერანაირი ბეჭედი ვერ აღმოაჩინეს, და, - ყალბია ეს და იდექი გარეთო. ბარათი კავშირის წარმომადგენლებმა გუშინწინ კაფე "მსოფლიო სპორტში" დაურიგეს მედიის წარმომადგენლებს. მოგვიანებით გავარკვიე, რომ ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩენილან სხვა ჟურნალისტებიც. ბოლოს ისევ რაგბის კავშირმა მიშველა – ვიცე-პრეზიდენტმა, ბათუ კევლიშვილმა იმ შესასვლელიდან შეგვიყვანა მე და ჩემი კოლეგა, სპორტსმენები რომ შედიან. მადლობა ღმერთს, შესვლა მოვახერხე, მაგრამ ივნისის ცხელ დღეს ერთი საათის ნასიარულებს წყალი მომწყურდა და, - არა გენაცვალე, ცივი არაფერი მაქვს, ხუთი წუთის წინ ჩართეს მაცივრები და მთელი დღის განმავლობაში გაცხელებულს რა გააციებდაო, - მკვახედ მომიგო "ცივი ჩაის" და ლუდის გამყიდველმა....

მოედანზე პირველად რუმინელები და უკრაინელები გამოვიდნენ. უკრაინელები ქართველებთან ერთად თავიდანვე ჯგუფიდან გასვლის კანდიდატებად მოიაზრებოდნენ. ამის პრეტენზია რუმინელებსაც ჰქონდათ. ერთი სიტყვით, ყველაფერი მათ შორის პაექრობას უნდა გადაეწყვიტა. სიმართლე ითქვას, ეს მატჩი ერთ-ერთი ყველაზე სანახაობრივი გამოდგა. გუნდებმა იცოდნენ მისი მნიშვნელობა და ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ, თუმცა საბოლოოდ უკრაინელებმა მაინც იმარჯვეს. ამის შემდეგ მოედანი საქართველოს და აზერბაიჯანის ნაკრებებს დაეთმოთ. რა დღე დაადგებოდათ ჩვენს მეზობლებს, ადვილი წარმოსადგენია - ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს. ორივე ეს მატჩი A ჯგუფისა იყო; შემდეგ B ჯგუფის ჯერი დადგა. ამ ჯგუფიდან გამსვლელების ვინაობა წინასწარვე ცნობილი იყო - იტალია და საფრანგეთი მეტოქეებზე რამდენიმე თავით მაღლა იდგნენ და ჯგუფური ტურნირის ერთადერთი ინტრიგად მიიჩნეოდა მათ შორის შემდგარი თამაში, რომელსაც პირველ-მეორე ადგილებზე გასულები უნდა გაერკვია. ამ პაექრობაში საფრანგეთმა გაიმარჯვა და ტურნირზე ერთადერთი გუნდი აღმოჩნდა, რომელსაც საკუთარ კარში ქულა არ მიუღია. გასაკვირია, მაგრამ საკმაოდ სანახაობრივი გამოდგა ბულგარეთ-ისრაელის მატჩი. ამ გუნდებს მეტნაკლებად თანაბარი შესაძლებლობები აქვთ და, სხვებთან შედარებით, მათი შეხვედრა დაძაბული გამოდგა - მაყურებლის გასახარად ლელოებიც უხვად გავიდა.

ეს იყო გუშინდელი დღის ბოლო მატჩი, მანამდე კი ბორჯღალოსნებმა შარშანდელი მარცხისთვის შური იძიეს - ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში უკრაინა დაამარცხეს და პირველობაც დაისაკუთრეს. დღეს ნახევარფინალში ქართველების მეტოქე იტალია იქნება, მეორე ნახევარფინალურ მატჩში კი საფრანგეთი უკრაინას შეხვდება.



რაგბი: ბრძოლა და სანახაობა





**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| უკრაინა – რუმინეთი | 17:14 |
| საქართველო – აზერბაიჯანი | 66:0 |
| უკრაინა – აზერბაიჯანი | 52:0 |
| საქართევლო – რუმინეთი | 40:7 |
| რუმინეთი – აზერბაიჯანი | 35:0 |
| საქართველო – უკრაინა | 28:5 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 3 | 3 | 0 | 0 | 134:12 | 6 |
| უკრაინა | 3 | 2 | 0 | 1 | 74:42 | 4 |
| რუმინეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 56:57 | 2 |
| აზერბაიჯანი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:153 | 0 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| იტალია – ბულგარეთი | 38:0 |
| საფრანგეთი – ისრაელი | 52:0 |
| იტალია – ისრაელი | 40:10 |
| საფრანგეთი – ბულგარეთი | 54:0 |
| საფრანგეთი – იტალია | 28:0 |
| ისრაელი – ბულგარეთი | 29:24 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 134:0 | 6 |
| იტალია | 3 | 2 | 0 | 1 | 78:38 | 4 |
| ისრაელი | 3 | 1 | 0 | 2 | 39:116 | 2 |
| ბულგარეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 24:121 | 0 |

ჩოგბურთი

## უიმბლდონი. მესამე წრე.

**ვაჟები**

| | |
|---|---|
| **ანდრე აგასი (აშშ, 2)** – იონეს ელ აინაოუი (მაროკო, 27) | 5:7, 6:4, 7:6 (7:4), 7:6 (7:4) |
| **მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია)** – რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი, 35) | 4:6, 7:6 (9:7), 6:4, 7:6 (8:6) |
| **ოლივიე როშუ (ბელგია)** – იარკო ნიემინენი (ფინეთი, 30) | 7:6 (7:5), 6:3, 6:1 |
| **ალექსანდერ პოპი (გერმანია)** – ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) | 6:3, 6:4, 7:6 (7:3) |
| **სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი, 13)** – უესლი მუდი (ს. აფრიკა) | 6:7 (5:7), 6:2, 6:4, 6:4 |
| **ტიმ ჰენმანი (დიდი ბრიტანეთი, 10)** – რობინ სოდერლინგი (შვედეთი) | 6:3, 6:1" 6:4 |
| **ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 3)** – სარგის სარგსიანი (სომხეთი) | 6:4, 6:2, 2:6, 6:4 |
| **დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა, 6)** – კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) | 6:4, 5:7, 6:7 (1:7), 6:4, 6:2 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| **ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, 8)** – აკიკო მორიკამი (იაპონია) | 6:4, 6:4 |
| **სერენა უილიამსი (აშშ, 1)** – ლაურა გრენვილი (აშშ, 28) | 6:3, 6:1 |
| **მარია შარაპოვა (რუსეთი)** – ელენა დოკიჩი (სერბია და ჩერნოგორია) | 6:4, 6:4 |
| **ჟუსტინ ენინ-არდენი (ბელგია, 3)** – ალისია მოლიკი (ავსტრალია) | 6:4, 6:4 |
| **სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი, 33)** – ემილი ლუა (საფრანგეთი) | 6:1, 6:2 |
| **ანასტასია მისკინა (რუსეთი, 10)** – კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 18) | 6:3, 6:3 |
| **ელენა დემენტიევა (რუსეთი, 15)** – ანიკო კაპროში (უნგრეთი) | 6:3, 6:1 |
| **მარი პირსი (საფრანგეთი)** – ლიზა რაიმონდი (აშშ, 23) | 4:6, 6:3, 7:5 |

კრივი

## მატჩ-რევანში უნდა შედგეს

მატჩ-რევანში ლენოქს ლუისსა და ვიტალი კლიჩკოს შორის აუცილებლად უნდა გაიმართოს, - ასეთი განცხადება გააკეთა საკრივო სამყაროში ცნობილმა პრომოუტერმა, დონ კინგმა. "დღეს ჩემპიონი ლუისია, მაგრამ ხვალ, შესაძლოა, კლიჩკო გახდეს. ამისათვის მას ლუისთან ბრძოლის შანსი უნდა მიეცეს. ვიტალის მშვენიერი მომავალი ექნება. ის დიდი პოტენციალის მოკრივეა, რომელსაც დროთა განმავლობაში აუცილებლად გამოავლენს, რაშიც მე მას ყველანაირად დავეხმარები, მაგრამ მსოფლიო კრივის ცენტრი ამერიკაშია და არა გერმანიაში", - თქვა პრომოუტერმა გერმანულ "Welt am Sonntag"- თან საუბარში.

რაკი კინგი ამბობს, რომ მატჩ-რევანში უნდა გაიმართოს და საამისოდ უკრაინელს დახმარებასაც ჰპირდება, ესე იგი ბრძოლა შედგება. ყოველ შემთხვევაში, ალბათობა ძალიან დიდია - 72 წლის კინგი ხომ, რასაც ინდომებს, ყველაფერს ასრულებს.

TV-სპორტი

### კვირა. 29 ივნისი

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 98/99 სეზონი. ნახევარფინალი. "იუვენტუსი" – "მანჩესტერი"
15:00 რუსეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
16:00 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "კაიზერი" – "შტუტგარტი"
17:45 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "ტოტენჰემი" – "არსენალი"
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" – "ინტერი"
21:35 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 98/99 სეზონი. ფინალი. "ბაიერნი" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
23:35 "დარტყმა გოლის მიმართულებით"
23:55 ბრაზილიის ჩემპიონატი. "გუარანი" – "სან პაულუ". პირდაპირი რეპორტაჟი

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:15, 17:00 პრეს-ცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:30 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. უიმბლდონი
14:55 ჭიდაობა. ბერძნულ-რომაული სტილი
17:15 რუსული ჰოკეის ისტორია
19:15 საჭადრაკო მიმოხილვა
20:00 "დიდი რინგი"
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:25 ცხენოსნობა
23:30 სპიდვეი
01:00 ახალი ამბები
01:15 ტაილანდური კრივი

**EUROSPORT**
11:30 ფეხბურთი. კონფედერაციათა თასი
12:00 "სუპერრბოლები უქმეებზე"
14:00 ფორმულა 3000
15:00 "სუპერრბოლები უქმეებზე"
15:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური გერმანიაში
16:30 "სუპერრბოლები უქმეებზე"
16:45 ფეხბურთი. კონფედერაციათა თასი
18:15 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური გერმანიაში
19:15 "სუპერრბოლები უქმეებზე"
20:15 რაგბი. მსოფლიო თასი ახალგაზრდებს შორის
21:45 ახალი ამბები
22:00 "სუპერრბოლები უქმეებზე"
23:00 მულტისპორტი
23:30 ფეხბურთი. კონფედერაციათა თასი
02:00 ახალი ამბები
02:15 ავტორბოლა NASCAR
03:15 ავტორბოლა INDYCAR

ფეხბურთი

# როცა შიკლგრუბერს შევუტიეთ, ხორვატმა შემოგვიტია

"ვიტ ჯორჯია" ინტერტოტოს ტურნირს გამოეთიშა

მიხეილ აბაიშვილი

*ინტერტოტოს თასზე თბილისის "ვიტ ჯორჯიას" გამოსვლა, შარშანდელივით წელსაც პირველივე ეტაპზე წარუმატებლად დასრულდა. "ვეტერინარებმა" შტრაუსის სამშობლოს წარმომადგენლებთან ბოლომდე იბრძოლეს, ორი გოლიც გაუტანეს და მინიმალური ანგარიშითაც იმარჯვეს, მაგრამ შემდეგი ეტაპის საგზური მაინც ავსტრიელებს ერგოთ.*

**"ვიტ ჯორჯია" - "პაშინგი" 2:1 (0:0)**
**"ვიტ ჯორჯია":** მერლანი, მუჯირი, ინწკირველი (კვახაძე, 65`), ლ. მერებაშვილი (დათუნაიშვილი, 25`), დოლიძე, დიღმელაშვილი, ნოზაძე, გველესიანი, გოჩაშვილი (ე. მერებაშვილი, 69`), მელქაძე, მარცვალაძე.
**"პაშინგი":** შიკლგრუბერი, კალკასი, კოვაჩევიჩი, ვისკო, როტბაუერი, ხორვატი (გუბენეკი, 82`), პირხერი, რიგლერი, ვატორე (ატალაი, 57`), მაირლები, კისენბერგერი (მეირი, 73`).
**გოლები:** 1:0 მელქაძე 53`, 1:1 ხორვატი 61`, 2:1 ე. მერებაშვილი 92`
**გაფრთხილება:** ნოზაძე.

ავსტრიელები ერთობ ზედაპირულად მიუდგნენ ამ მატჩს. როგორც ჩანს, ტურნირის შემდგომ ეტაპზე გასვლის საკითხი მათ დიდად არ აღელვებდათ. სხვაგვარად, ძნელი ასახსნელია განმეორებითი მატჩისადმი მათი ასეთი გულგრილი დამოკიდებულება - საკუთარ მოედანზე მინიმალური ანგარიშით - 1:0, გამარჯვების შემდეგ, რაც შემდეგ ეტაპზე გასვლის გარანტია ნამდვილად არ გახლდათ, "პაშინგი" თბილისში ჩარტერული რეისით ჩამოფრინდა თამაშამდე სულ სამი საათით ადრე და საგანაცხადო 18-ის ნაცვლად მხოლოდ 15 ფეხბურთელი ჩამოიყვანა.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტერტოტოს თასის შემოღების დღიდან ევროპაში არ წყდება მითქმა-მოთქმა ამ არაპრესტიჟული ტურნირის არსებობის მიზანშეწონილობაზე. ბევრი გუნდი ინტერტოტოს თასის გათამაშებაში დუბლშემადგენლობებით გამოდის, რითაც, უბრალოდ, მოვალეობას იხდის უეფას წინაშე.

"პაშინგი" ნამდვილად არ მიეკუთვნება ისეთი კლუბების რიცხვს, ვისთვისაც ამ ტურნირში მონაწილეობა იმიჯის შელახვა იქნებოდა. ეს გუნდი საკუთარი ეროვნული ჩემპიონატის წლევანდელ სეზონში მეხუთე ადგილზე გავიდა, რაც მისთვის დიდ მიღწევად ითვლება.

ავსტრიაში გამართული პირველი შეხვედრის პერიპეტიებსაც შეგახსენებთ. "ვიტ ჯორჯიას" ის მატჩი ურიგოდ არ ჩაუტარებია; რამდენჯერმე გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ქართველი თავდამსხმელები აშკარად სცოდავდნენ. ყველაფერს ისიც დაერთო, რომ იმ შეხვედრის ალბანელმა მსაჯმა მე-80 წუთზე "ვიტელების" კარში საკმაოდ საეჭვო თერთმეტმეტრიანი დანიშნა და "პაშინგმა" სწორედ ამის წყალობით გაიმარჯვა.

გუშინდელი მატჩი სტუმართა ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით დაიწყო. განსაკუთრებით აქტიურობდნენ შავკანიანი ცენტრალური თავდამსხმელი, ვატორე და შემტევი ნახევარმცველი, ხორვატი, რომლებმაც, შეიძლება ითქვას, დააწიოკეს მასპინძელთა საჯარიმო. პირველ წუთებში "პაშინგს" ოთხჯერ მაინც შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ხან მირზა მერლანი თამაშობდა კარგად, ხანაც ავსტრიელები ატანდნენ ქარს კარგ საგოლე მომენტებს. "ვიტ ჯორჯიას" თავკაცმა, იტალიელმა ჯანი კარნევალიმ პირველივე ტაიმის შუა ნაწილში მიიღო ზომები: მან 25-ე წუთზე არადამაჯერებლად მოთამაშე ლევან მერებაშვილის ნაცვლად დათუნაიშვილი შემოიყვანა. შედეგად, თამაშმა სტუმართა ნახევარზე გადაინაცვლა და საქმე შიკლგრუბერსაც გაუჩნდა. ამ შეხვედრაში ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო, ლევან მელქაძემ რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტია "პაშინგის" კარს, მაგრამ ავადსახსენებელი დიქტატორის მოგვარე არ შედრკა და პირველ ტაიმში კარი "მშრალად" შეინახა.

შეხვედრის განახლებიდან 7 წუთი იყო გასული, რომ ვეღარც შიკლგრუბერმა იხსნა თავისიანები: დაახლოებით, 30 მეტრიდან მელქაძის ძლიერმა დარტყმამ მიზანს მიაღწია. ორი მატჩის ჯამში ანგარიში გათანაბრდა, მაგრამ მასპინძლების სიხარული დიდ ხანს არ გაგრძელებულა: 61-ე წუთზე "ვიტ ჯორჯიას" კარიდან, დაახლოებით, 25 მეტრიდან დაინიშნა ჯარიმა და ხორვატმა ბურთი "ცხრიანში" გაახვია. შედეგად, შემდეგ ეტაპზე გასვლისათვის საქართველოს ჩემპიონატის მეოთხე ადგილოსანს უკვე ორი გოლის გატანა სჭირდებოდა. მასპინძლებს ძალა და მონდომება არ დაუკლიათ, მაგრამ დრო მხოლოდ ერთი გოლის გასატანად ეყოთ.

**ჯანი კარნევალი:** "დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ფეხბურთელებს. მათ ბოლომდე იბრძოლეს, ენერგია არ დაუშურებიათ და შემდეგ ეტაპზე გასვლასაც იმსახურებდნენ, მაგრამ, სუბიექტური ფაქტორების გამო, ტურნირის დატოვება გვიწევს. პირველ შეხვედრაში სათუო პენალტის "წყალობით" დავმარცხდით, დღეს მსაჯმა მარცვალაძის წაქცევისთვის არ დანიშნა თერთმეტმეტრიანი - წყვილში გამარჯვებულის გამოსავლენად კი მეტიც არ არის საჭირო. იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ორივე მატჩში ხელსაყრელი მომენტების მთელი წყება ვერ გამოვიყენეთ, ნათელი ხდება – ბედი ჩვენს მხარეს არ იყო."


შეტევა შიკლგრუბერის კარზე


ორთა-ბრძოლა

# რა დაგვიტოვა ვან გოგმა



"გზა კვიპაროსითა და ვარსკვლავებით"

ამსტერდამის ვან გოგის მუზეუმში დიდი ნიდერლანდელი მხატვრის, ვინსენტ ვან გოგის (1853-1890) 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა, Gogh Modern გაიხსნა. გამოფენის ორგანიზატორები იმის ჩვენებას შეეცადნენ, თუ რა გავლენა იქონია ამ ხელოვანმა ჩვენი დროის ხელოვნებაზე. გამოფენაზე, რომელიც 12 ოქტომბრამდე გაგრძელდება, ვან გოგის 25 ტილოსთან ერთად მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის მხატვრების 80 ნამუშევარია გამოფენილი. მუზეუმის ასეთ ექსპოზიციას შემდეგნაირად ასაბუთებს: ამ უკანასკნელთა ექსპერიმენტული ნამუშევრები ვან გოგის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა.

ვან გოგსა და კარელ აპელის, ვილემ დე კუნინგის, ჯასპერ ჯონსსა თუ ანსელმ კიფერს შორის კავშირი აშკარად თვალშისაცემია – ეს ფერთა გამასაც ეხება და ბუნების აღქმის თავისებურებებსაც. გარდა ამისა, გამოფენა ცხადყოფს, რომ ვან გოგის შემოქმედებამ კვალი თანამედროვე ფოტოხელოვნებასაც დაამჩნია. დიდი ნიდერლანდელისა და მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ხელოვანთა სულიერი ერთობა მარინა აბრამოვიჩის, რუდოლფ შვარცკოგლერისა თუ ბრიუს ნაუმანის ნამუშევრებშიც ვლინდება.

ვან გოგის გამოფენაზე გატანილი ნამუშევრები თავად მუზეუმის საკუთრება გახლავთ, უკანასკნელი ათწლეულის ხელოვნების ნიმუშები კი შტედელიკ მუზეუმის კუთვნილებაა.

# კევინი + კრისტინა

ჰოლივუდის ვარსკვლავს, კევინ კოსტნერს, ახალი ცოლი მოჰყავს – კრისტინა ბაუმგარტნერი. ეს 48 წლის კევინისთვის მეორე ქორწინებაა – მანამდე მისი მეუღლე სინდი სილვა იყო, მასთან სამი შვილიც ჰყავს. კრისტინა კი 29 წლისაა და პირველად თხოვდება.

ამჟამად კოსნერი ახალ ფილმზე მუშაობს. "დაუფარავი რისხვა" ყოფილი ყაჩაღის ამბავს გვიამბობს, რომელსაც საკუთარი სახლის დაცვა უწევს.

რაც შეეხება კრისტინას, ის მოდელი და დიზაინერია, და სულ მალე ქალის ხელჩანთების გამოშვებასაც დაიწყებს.

კევინმა და კრისტინამ დაქორწინება ჯერ კიდევ 2001 წელს გადაწყვიტეს. მაშინ კრისტინა კოსნერს კუბაზე ახლდა, სადაც მათ კინოსურათ "13 დღესთან" დაკავშირებით ფილდელ კასტროსთან ჰქონდათ მოლაპარაკებები.







## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

# ბრიჯი



გურამ ბერიშვილი

დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს წინა პუბლიკაციებს ინტერნეტით: www.berishvili.pvt.ge

საკუთარი მოსაზრებები შეგიძლიათ გამოაგზავნოთ guram@berishvili.pvt.ge

N13

ბრიჯის ფესტივალზე წყვილთა შორის Costa del Sol-ში 1967 წელს გათამაშდა შემდეგი ხელი

N: ♠A 7 5 ♡ - ♢A V 10 7 ♣A V 10 6 3 2
W: ♠K V 8 6 3 ♡D ♢D 8 4 ♣8 7 5 4
E: ♠10 9 4 ♡A V 6 ♢K 9 6 5 2 ♣D 9
S: ♠D 2 ♡K 10 9 8 7 5 4 3 2 ♢3 ♣K

დაინიშნა 5♡, გამთამაშებელია Van Seters (S). სხვა მაგიდებზე, როგორც მოგახსენეთ, დაინიშნა ნაკლები 4♡ და 3♡-ც კი. ეს კონტრაქტები სიძნელეს არ წარმოადგენენ. 5♡-ის შესრულება კი გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული.

ღია კარტით ყველაფერი ნათელია. მისცემთ თულფის K-ს, რაზეც დავარდება თულფი D და A, მისცემთ ერთ თულფს V-ზე და ჩაიტანთ დასაკარგ ერთ ყვავს ჯვრის ტუზზე. კონტრაქტი შესრულდება. მაგრამ სულ სხვაა დახურული გათამაშება.

გავიხსენოთ აუქციონი

| S | W | N | E |
|---|---|---|---|
| Van Seters | Le Dantu | Madame Goldsmidt | Frendo |
| 4♡ | პას | 4 უთ | პას |
| 4♣ | პას | 5♡ | პას |
| პას | პას | | |

გათამაშებას W იწყებს ♠8-ით. (მან აუქციონიდან იცის, რომ S-ს ტუზი არა აქვს). თუ ყვავის ტუზი პარტნიორთანაა, ყვავში ორივე დროზეა წასაღები, თუ არა და მისი K უნდა განთავისუფლდეს. N-დან ტუზის არ დადება სარისკოა.

გამთამაშებელი N-დან დებს ♠A-ს, რადგან თუ K აქვს E-ს, კონტრაქტი ჩავარდნილია (ორი თულფი აუცილებლად მისაცემია). იღებს ♣K-ს, გადადის აგურით N-თან და ♣A-ზე აგდებს ♠D-ს.

ისევ გათამაშებაზე ვისაუბროთ. ზოგჯერ საუკეთესო იდეაც კი განუხორციელებელი დარჩება ერთი პატარა დეტალის გაუთვალისწინებლობის გამო. ეს დეტალია გადასვლა, ანუ სვლის გადაცემა პარტნიორისათვის. ორ მაგალითს მოვიტან.

N: ♠9 7 3 ♡4 2 ♢A K 8 6 4 2 ♣7 3
S: ♠A 10 4 2 ♡A K 3 ♢10 9 7 ♣A V 2

თამაშდება 3 უთულფო, გამთამაშებელია S. წამოწყება ბუნებრივია ♡V. გამთამაშებელს 6 აღება გარანტირებული აქვს, 1 ყვავი, 2 გული, 2 აგური და 1 ჯვარი. საჭიროა კიდევ 3 აღება. ეს აღებები უნდა აგურმა მოიპოვოს. თუ 4 დარჩენილი აგური მოწინააღმდეგესთან განაწილებულია 2-2, მაშინ გამთამაშებელი აგურში დამატებით 3-ს კი არა, 4-საც მიიღებს. თუ გამთამაშებელი აიღებს ორ უფროს აგურს და განაწილება იქნება 2-2, კონტრაქტი შესრულდება გადაჭარბებითაც. მაგრამ თუ მას დახვდა 3-1 განაწილება, შემდეგი აგურის მიცემით 3 დანარჩენი აგური ამღებია, მაგრამ მათი გამოყენება ველარ მოხერხდება, N-სათვის სვლის გადაცემა აღარ არის. კარტის სრული განაწილება შეიძლება ასეთი აღმოჩდეს

N: ♠9 7 3 ♡4 2 ♢A K 8 6 4 2 ♣7 3
W: ♠D 8 6 ♡V 10 8 6 5 ♢V ♣K D 5 4
E: ♠K V 5 ♡D 9 7 ♢D 5 3 ♣10 9 8 6
S: ♠A 10 4 2 ♡A K 3 ♢10 9 7 ♣A V 2

თუ გამთამაშებელი ყოველივე ამას გაითვალისწინებს, ჯერ აიღებს აგურის A-ს და შემდეგ დათმობს ერთ აგურს. კონტრაქტის შესრულება გარანტირებულია, რადგან მას ექნება საშუალება სვლა N-ს გადასცეს.

მეორე მაგალითი უფრო შთამბეჭდავია. S თამაშობს 4♣-ს, W იწყებს ♡A-თი.

W იღებს პირველს, აგრძელებს და იღებს მეორეს, S კლავს მესამე აგურს. და აი აქ გამოჩდება გამთამაშებლის გამჭრიახობა. N-საკენ სვლის გადაცემა ძალიან გაჭირდება, საჭიროა ის შესაძლებლობა შევინახოთ, რასაც თულფის განაწილება გვაძლევს. ეს ნიშნავს, რომ თულფის ორიანი უნდა შევინახოთ, ის გადაცემისათვის გამოგვადგება და მესამე აგური უნდა უფრო დიდი კარტით მოვკლათ, ♣7-ით.

N: ♠6 4 2 ♡6 5 3 2 ♢D 10 9 ♣6 5 4
S: ♠A D ♡10 7 ♢A V 8 ♣K D 10 8 7 2

აი სრული განაწილებაც

N: ♠6 4 2 ♡6 5 3 2 ♢D 10 9 ♣6 5 4
W: ♠V 9 8 5 ♡A K D 9 ♢6 5 4 ♣A 9
E: ♠K 10 7 3 ♡V 8 4 ♢K 7 3 2 ♣V 3
S: ♠A D ♡10 7 ♢A V 8 ♣K D 10 8 7 2

გამთამაშებელი თულფებს ამოკრეფს, გადავა მესამე თულფით N-თან და გამოვა ♢D-ს. თუ E დადებს K-ს პრობლემა მოხსნილია, კონტრაქტი შესრულდა. თუ E არ დადებს K-ს, მაშინ გამთამაშებელმა D-ზე უნდა V დააგდოს და გაიმეოროს აგურის გაჭრა. თუ ამჯერად K დავარდა, აგურის 8-ით გადავალთ N-თან და ყვავის K-ს გავჭრით.

სვლების სრული მიმდევრობა შემდეგია:

| | W | N | E | S |
|---|---|---|---|---|
| 1 | ♡A* | ♡2 | ♡4 | ♡7 |
| 2 | ♡K* | ♡3 | ♡8 | ♡10 |
| 3 | ♡D | ♡5 | ♡V | ♣7* |
| 4 | ♣A* | ♣4 | ♣3 | ♣K |
| 5 | ♡9 | ♡6 | ♢2 | ♣8* |
| 6 | ♣9 | ♣5 | ♣V | ♣D* |
| 7 | ♠5 | ♣6* | ♠3 | ♣2 |
| 8 | ♢4 | ♢D* | ♢3 | ♢V |
| 9 | ♢5 | ♢10 | ♢K | ♢A* |
| 10 | ♢6 | ♢9* | ♢7 | ♢8 |
| 11 | ♠8 | ♠6 | ♠K | ♠A* |
| 12 | ♠9 | ♠2 | ♠7 | ♠D* |
| 13 | ♠V | ♡6 | ♠10 | ♣10* |

მიაქციეთ ყურადღება მე-5-ე სვლას, აქაც მეორდება თულფის ორიანის შენახვა. მე-9-ე სვლაზე თუ E-მ არ დადო K, კონტრაქტი ყვავის გაჭრის გარეშეც შესრულებულია.

N14

ერთ-ერთ წყვილთა ტურნირზე W - E ადგილებზე იყვნენ გამოჩენილი ბრიჯისტები Pirre Jais და Adam Meredith. მათ წინააღმდეგ დაინიშნა 4♠, გამთამაშებელი S.

N: ♠A K 3 2 ♡7 5 ♢V 5 4 ♣A K V 9
W: ♠8 6 ♡K D V 3 ♢D 9 2 ♣6 5 4 2
E: ♠D 10 ♡10 9 8 6 2 ♢K 10 8 ♣D 8 3
S: ♠V 9 7 5 4 ♡A 4 ♢A 7 6 3 ♣10 7

W-მ წამოიწყო ♡K-თი.

თუ ყველა წყვილმა ამ ხელში დანიშნა 4♠ და შეასრულა იგი, არც ერთ წყვილს უპირატესობა არ ექნება. მაგრამ თუ ერთ-ერთმა წყვილმა არა თუ შეასრულა კონტრაქტი, არამედ ერთით მეტი აიღო, მაშინ ის საგრძნობ უპირატესობას მიიღებს. ამიტომ ცდუნება, შეეცადო როგორმე დამატებითი აღება გამოძებნო, დიდია. სწორედ ამ ცდუნებაზე ააგო თავისი დაცვა W - E-მ და კონტრაქტი ჩააგდო (S-ს ერთი აღება დააკლდა კონტრაქტის შესასრულებლად).

შეეცადეთ თქვენც იპოვოთ დაცვის ეს შესაძლებლობა. გაითვალისწინეთ, რომ N-ის გარდა სხვა კარტი ყველასათვის არ ჩანს.

## კროსვორდი

